# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 35 (1321)

4-10 სექტემბერი, 1992 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა


# ნაომარი ჭაბუკის ნაამბობი



დღეს საქართველოს ძლიერ უჭირს. მოგვეძალა შინაური და გარეშე მტერი. აღარავინ გვინდობს. ყოველ ცისმარე დღეს ახალ-ახალი უსიამოვნო ამბები მოაქვს. იღუპებიან და იჭრებიან საუკეთესო მებრძოლები, სიცოცხლეს მოწყურებული ჭაბუკები.

თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის „გაენათის“ სტუდენტი, საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი კახა კუჭუაშვილი ეროვნულ მოძრაობაში ჯერ კიდევ 1989 წლიდან ჩაება. მიუხედავად თავისი თვრამეტი წლისა, სამაჩაბლოშიც მოასწრო ბრძოლა, თბილისშიც... არც ამჯერად დაფიქრებულა. როგორც კი საქართველოს გაუჭირდა, თავის მეგობარ თანამებრძოლებთან ერთად აფხაზეთს მიაშურა.

24 აგვისტოს, ხელჩართულ ბრძოლაში 7 ტყვიით დაიჭრა. ახლა იგი თბილისში, სამხედრო ჰოსპიტალში წევს და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. მიუხედავად აუტანელი ტკივილებისა, კახას უარი არ უთქვამს, ეამბნა თავს გადამხდარი ამბავი. მის ნაამბობს გთავაზობთ შეუცვლელად.

„ჩვენი ნაწილი ეშერაში იდგა. მართალია, ცეცხლის წინა ხაზზე არ ვყოფილვართ, მაგრამ შტაბზე სისტემატურად ახდენდნენ თავდასხმებს. ტექნიკა იყო მცირე, თორემ ტყვია-წამალი არ გვაკლდა და ამ თავდასხმების მოგერიებაც არ ჭირდა. იქამდე იყვნენ მომხდურები გათამამებულნი, რომ ოცდაათი მეტრის მანძილზე გვიახლოვდებოდნენ და გვიტეხდნენ სროლას. თანაც ერთი და ორი კი არა, ათ კაცამდე. გვესროდნენ მათთვის ხელსაყრელი პოზიციებიდან — მანდარინის პლანტაციებში ჩამალულნი. მერე იყო და ისე გათავხედდნენ, შტაბი აგვიფეთქეს.

24 აგვისტოს შტაბში ერთი სოხუმელი ქართველი მოვიდა და შეგვატყობინა — „მაიაკში“ ერთი სომხის სახლია, სადაც აფხაზი სნაიპერები თავს აფარებენო. ცნობის მომტანში ეჭვი არც შეგვპარვია., მანამდეც მოდიოდა შტაბში და ვიცნობდით. სხვათაშორის, ბევრი სოხუმში მცხოვრები ქართველი მოდიოდა მოხალისედ და ჩვენს გვერდით იდგა. ხუთნი წავედით მანქანით. მითითებულ სახლში ერთი ქართველი ქალი ვიპოვეთ. იფიცებოდა და ყველას იწყევლა, სახლში ჩემს გარდა არავინ არ არის, ჩემი შვილი კარგა ხანია გაქცეულიაო. აღარ ვიცოდით, რა გვექნა. მაგრამ მერე გონიერებამ იმარჯვა, ნათქვამია, ენდე, მაგრამ შეამოწმეო და დავიწყეთ სახლის ჩხრეკა. ვიპოვეთ ავტომატის ვაზნები დიდი რაოდენობით, ცარიელიც და სავსე ჰილზებიც. სახლის ფანჯრებზე თუნუქი იყო გადაკრული, რომელიც ნატყვიარებით იყო სავსე. სახლში მყოფი ქალი გვიმტკიცებდა, გარედან გვესროდნენ და ეს იმისი ნაკვალევიაო. შევამოწმეთ და დავრწმუნდით, რომ პირიქით კი იყო. ამის შემდეგ უკვე გულდაგულ დავიწყეთ სახლის ჩხრეკა. ერთ დიდ ოთახში დიდი რაოდენობით კომპიუტერის დისკები ვნახეთ, იქნებოდა დაახლოებით ათი ათასი ცალი. წავაწყდით პროდუქტების საწყობს. მასში გამავალი კარი კედელში იყო დატანებული ფარულად, ზედ შპალერი ჰქონდა გადაკრული და დაუკვირვებლელი თვალისთვის თითქმის შეუმჩნეველი იყო. ჩვენც სრულიად შემთხვევით შევნიშნეთ გასაღების ჭუჭრუტანა. ვიპოვეთ მესამე სართულში ასასვლელი ლუქი და კედლის გარეთა მხრიდან დატანებული ლიფტი, რომელზეც 2—3 კაცი თუ დადგებოდა. საკმაოდ დიდი მოცულობის სახლი იყო, გარაჟებში იდგა ორი რაფი, ერთი „ნოლ-ცხრა“ და ერთიც „ნოლ-რვა“ მარკის ჟიგულები. პირველ სართულზე ჟიგულის იმდენი ნაწილები აღმოვაჩინეთ, 3—4 მანქანა თავისუფლად აეწყობოდა. ის იყო მესამე სართულზე ასვლას ვაპირებდით, რომ ჩვენი ნაწილის ოთხი და შინაგანი ჯარის 15 ბიჭი შემოგვემატნენ. დავიწყეთ მაღლა ასვლა. ზოგიერთი კიბეს აუყვა. მე რატომღაც ლიფტისაკენ წავედი. ღილაკები გაცვეთილი იყო და ერთი პირობა შევყოყმანდი, მაგრამ მერე ხელი ჩავიქნიე და მე და ამბის მომტანი სოხუმელი შევდექით ლიფტზე. ღილაკს მივაჭირეთ, ჩაირთო. ის იყო მეორე სართულს უნდა გავსწორებოდით, რომ თოფიდან გასროლა გაისმა. ტყვიამ ჩამიარა და ჩემს გვერდით მდგომს თითში მოხვდა და წააცალა. მომესმა ღრიალი, მერე ავტომატის ხმა და აირია ყველაფერი. წამები წყვეტდა ყველაფერს. ლიფტი მეორე სართულამდე არც კი იყო ასული და კედლები შევათვალიერე, მინდოდა გამეგო, საიდან მესროდნენ. მეორე და მესამე სართულებს შორის პატარა გვირაბივით იყო დატანებული. იქ იდგა თოფიანი კაცი და მესროდა. მხარში რომ მომხვდა ტყვია, იძულებული გავხდი ლიფტის იატაკზე გავწოლილიყავი გვერდით მდგომთან ერთად. გვესროდნენ უკვე არა მარტო მესამე სართულიდან, მეზობელი სახლიდანაც. განუწყვეტელი სროლის გამო თავს ვერ ვწევდი მაღლა. მაინც ვილუპებოდი, ხელის გაუნძრევლად სიკვდილი კი ნამდვილად არ მინდოდა. იმ ბიჭს, ჩემს გვერდით რომ იწვა, იარაღი არ ჰქონდა და ხელს მიშლიდა. ხელს გკრავ და გადახტი-მეთქი, პასუხისათვის არ დამიცდია, ხელი ვკარი. არაფერი დაშავებია, წამოხტა და გაიქცა. ავტომატი შევაყენე და წამოვხტი სროლით. მინდოდა ღილაკს მივწვდენოდი, მაგრამ ამაოდ. გარდა პირდაპირ ნასროლი ტყვიებისა, მხვდებოდა ასხლეტილიც. ხელში მომხვდა რამდენიმე ტყვია და ავტომატი ხელიდან გამივარდა. ავტომატიდან მესროდნენ 2—3 წუთის განმავლობაში. ჩვენმა ბიჭებმა რომ დაინახეს, მიჭირდა, ავტომატები ზევით შემართეს და ჭერი დაცხრილეს. სახლში მიმალული სნაიპერები ზედა სართულში იყვნენ შეფარებულები. ჭერის დაცხრილვის შემდეგ, ისინი ჩაჩუმდნენ. წამოვხტი ფეხზე, ჯერ ფეხში არ მქონდა მოხვედრილი ტყვიები. კედელზე რაღაც მილი იყო დატანებული, დავიწყე ნელნელა ჩამოცურება. მაშინ მომხვდა ფეხში სამი ტყვია. როგორც იქნა, გამოვაღწიე. ბიჭებმა გამოსული რომ დამინახეს, ლიფტი მოგლიჯეს სროლით და შეტევაზე გადავიდნენ. მალე სახლში ხანძარი გაჩნდა და ყველაფერი ჩაიწვა. მე და მამუკა (ჩვენი მებრძოლი, რომელიც საxეში დაიჭრა) სოხუმის საავადმყოფოში მიგვიყვანეს. მაგრამ აფხაზებმა საავადმყოფოში წოლაც არ მაცალეს. მთელი ღამე ბომბავდნენ აფხაზები საავადმყოფოს. გია ყარყარაშვილმა ორი ტანკი მოიყვანა საავადმყოფოსთან და „თეთრი არწივის“ ბიჭები მთელი ღამე გვყარაულობდნენ. დილით აეროპორტში გადაგვიყვანეს და ახლა აქ ვწევარ, როგორც ხედავთ“.

ჩაიწერა **მარინა ტლაშაძემ**



საქართველო — ყოველკვირეული გაზეთი

# რა მოხდა ყვარელში?!

როგორც ყვარელის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელთან სატელეფონო საუბრიდან შევიტყვეთ, ექსპრეზიდენტის თავგადადებული მომხრენი ყვარლის რაიონში შეკრებილან ჯერ კიდევ სამი კვირის წინ. (შეპყრობილთა ერთი ნაწილის ვერსიით ისინი კახეთში ჩამოსულან თითქოსდა ბაქოდან). როგორც ირკვევა, იარაღი მათ ჩამოუტანიათ ვერტმფრენით თითქოსდა გროზნოდან. ერთი კვირის წინ მწყემსებს ახალსოფლის ზემოთ, ღოლოიანში შეუნიშნავთ საეჭვო ვერტმფრენი. ღოლოიანიდან ყვარლის ზღვის მიდამოებში, ვაზოვანის ტყეში იარაღის გადმოტანაში მეამბოხეთ დახმარებიან მწყემსები. მეამბოხეთ მათთვის უთქვამთ, რომ ვითომცდა ეს იარაღი აფხაზეთში ჩვენი ჯარისათვის გასაგზავნად იყო განკუთვნილი (მათ არსენალში ყოფილა ავტომატები, ტყვიამფრქვევები, „მუხები" და სხვა). ყვარლის რ-ნის პოლიციას მიუღია ინფორმაცია, რომ ამავე პერიოდში რ-ნის ტერიტორიაზე გამოჩენილან გივი იორამიშვილი, ყოფილი პრეფექტის მოადგილე, ჰელსინკის კავშირის ყვარლის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე, მისი ძმაშვილი ნუკრი იორამიშვილი (ამავე ორგანიზაციის წევრი) და ომარი (დურო) ლვინიაშვილი, რომლებიც ადრე რაიონში არ ჩანდნენ. სულ ყვარლის ზღვის მიდამოებში შეკრებილა თბილისიდან და კახეთის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული 30-მდე კაცი. როგორც შეპყრობილთა ნაამბობიდან ირკვევა, მათი მიზანი ყოფილა ხალხის მიმხრობა, მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვება ჰელსინკის კავშირის რეგიონალურ ორგანიზაციაზე დაყრდნობით, რომელსაც ვითომდა დიდი გავლენა ჰქონდა ამ რაიონში. სინამდვილეში, ბატონ ზაზა შეყილაძის სიტყვით, მათთან არავინ მისულა.

რამდენიმე დღის წინ ეს შეიარაღებული პირები თავს დასხმიან ქ.ყვარელის ერთ-ერთ განაპირა რესტორანს და იქიდან გაუტაციათ სასმელ-საჭმელი. გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს ყოველივე მომხდარი უცნობებია ბატონ თენგიზ სიგუასათვის. ორი ვერტმფრენის თანხლებით ყვარელს ჩაფრენილა თავდაცვის მინისტრი ბატონი თენგიზ კიტოვანი, სპეცდანიშნულების ნაწილი გადმოუსხროლიათ ლაგოდეხიდან, გადაუკეტავთ ყველა გასასვლელი გზა და დანებების შესახებ ულტიმატუმის ვადის გასვლის შემდეგ დაუწყიათ მეამბოხეთა განლაგების ადგილის დაბომბვა.

დაბომბვის შემდეგ მეამბოხენი პატარა ჯგუფებად დაყოფილნი გაფანტულან ტყეებში. სამშაბათს დაკავებული ორი პირის თქმით, მათ არაფერი იციან მსხვერპლის შესახებ. (ერთ-ერთი მათგანის, 17 წლის თბილისელი სახლთხუციშვილის თქმით, მას თბილისში დაპირებიან იარაღისა და ფულის მიცემას, ამ მიზნით ის წაყოლია მათ გროზნოში და იქიდან იარაღის პარტიასთან ერთად ჩამოფრენილა ყვარლის ტყეში). კიდევ ერთ დაკავებულს სახელად ემზარს პოლიციის წარმომადგენლებისათვის უთქვამს, რომ თუ მას გაუშვებენ მეამბოხეებთან ტყეში, ყველას იარაღაყრილს და დანებებულს ჩამოიყვანს ყვარელში. როგორც გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა თქვა, ბატონი თენგიზ კიტოვანი ყვარლიდან თბილისს გაფრენილა და ამჟამად მეამბოხეთა აყვანის ოპერაციას ხელმძღვანელობენ მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენელი ბერძენიშვილი და სახელმწიფო საბჭოს კახეთის რწმუნებული გელა გოდერძიშვილი.

ბატონ **ზაზა შეყილაძეს** ჩვენთან სატელეფონო საუბრის დროს შეატყობინეს, რომ ახალსოფელში მეამბოხეებთან შეტაკებისას დაჭრილა ერთი ოფიცერი და ერთიც ადგილობრივი მკვიდრი. საბედნიეროდ ისინი მსუბუქად ყოფილან დაჭრილნი...

**17 საათი, 2 .I-92წ.**




# ქართველი ერის დაკომპლექსების ზოგიერთი მცდელობა[1]

არც თუ ისე დიდი ხნის წინ ყოველდღე გვესმოდა მტკიცებები ღვთისმშობლის წილხვედრი ჩვენი ქვეყნის მსოფლიო მასშტაბის განსაკუთრებულ მესიანურ როლზე. ეს სამართლიანად იწვევდა საღად მოაზროვნე ადამიანების ირონიულ რეაქციას და აღიქმებოდა როგორც პროვინციალიზმის გამოვლინება. ახლა ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ვვარდებით ამ პროვინციალიზმის მეორე უკიდურესობაში. სულ უფრო ხშირ ხასიათს იღებს ცდები წარმოადგინონ საქართველო საერთაშორისო პოლიტიკის უმწეო ობიექტად, რომლის ბედის გადაწყვეტაც ძირითადად სხვა ქვეყნების და ცალკეული პირების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ასეთმა განწყობილებამ კონცენტრირებული გამოხატვა ჰპოვა გაეროში ჩვენი ქვეყნის მიღებასთან დაკავშირებით. „საქართველოს რესპუბლიკაში" დაბეჭდილი ერთი პატივცემული კაცის წერილი. ამ წერილში გამოთქმულია შემდეგი „გენიალური" აზრი. ჩვენ ულირს ქვეყანაში მცხოვრები ულირსი ხალხი ვართ და მიუხედავად ამისა, გაერომ გამოიჩინა გულმოწყალეობა და ავანსის სახით გამოგვიყო თავის რიგებში 179-ე ადგილი. ასეთი ლოგიკიდან გამომდინარე პაპუა — ახალი გვინეა ღირსი იყო გაეროში მიღებისა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, რომლის იმპერატორი ბოკასა — საყოველთაოდ ცნობილი კანიბალი, (პირდაპირი და არა გადატანითი მნიშვნელობით) ღირსი იყო გაეროში მიღებისა და საქართველო არ იყო ღირსი. დაუფიქრდით, ეს ქართველი კაცის ნათქვამია.

ამავე მიმართულებით აქტიურად იყენებენ თვით ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტსაც. აღინიშნება, რომ ამ ადამიანს შეეძლო გაუჭირვებლად ეცხოვრა საზღვარგარეთის ნებისმიერ ქვეყანაში, მაგრამ იგი მაინც დასთანხმდა ჩვენისთანა ველური ქვეყნის გაძღოლაზე, რომელიც ასეთ დიდ პიროვნებას თავის ხელმძღვანელად არც იმსახურებდა. ამგვარი აზრების მატარებლებს ხლბათ, ვერც წარმოუდგენიათ, რომ ქართველმა კაცმა, მიუხედავად საზღვარგარეთ კარგად ცხოვრების პერსპექტივისა, ისევ თავის სამშობლოში ყოფნა შეიძლება ამჯობინოს. გარდა ამისა, ისეთი კულტურისა და ისტორიის სახელმწიფოს სათავეში ჩადგომა, როგორიც საქართველოა, ნებისმიერი პოლიტიკოსისათვის დიდი პასუხისმგებლობის გარდა უდიდესი პატივიცაა. ასეთი გამონათქვამების ავტორები უნებურად ან შეიძლება შეგნებულადაც, შეურაცხყოფას აყენებენ არა მხოლოდ ქართველ ერს, არამედ თავად სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მასშტაბურ ფიგურასაც.

ზემოთ მოყვანილი მტკიცებები სხვა არაფერია, თუ არა გაგრძელება იმ მცდელობისა, რომელსაც ორასი წლის მანძილზე არ გვაკლებდა რუსეთის იმპერია ჩამოეყალიბებინა ჩვენს ერში არასრულფასოვნების კომპლექსი. როგორც სჩანს, ამ საქმეში იმპერიამ ნაწილობრივ მაინც მიაღწია მიზანს. ჩვენ შევეჩვიეთ, რომ ჩვენს პრობლემებს სხვაგან და სხვები წყვეტენ და ჩვენგან ბევრი არაფერია დამოკიდებული, ასეთი დამოკიდებულების დროს ყველაზე მეტი საფრთხე რუსეთიდან მოდის. ამ სახელმწიფოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს პასუხობს და რუსეთის დემოკრატიულ ძალებთან მჭიდრო თანამშრომლობაა საჭირო. მაგრამ კარგსა და ავს გარჩევა უნდა, რასაც ბოლო დროს ჩვენი საინფორმაციო წყაროები მაინცდამაინც ვერ ახერხებენ. თქვენი არ ვიცი და მე არ მჯერა, რომ გალაზოვი ჩვენი მთავარი მოკავშირეა სამაჩაბლოს პრობლემების მოგვარებაში და რომ ყველა რუსი გენერალი ერთ წუთში გარდაიქმნა საქართველოს კეთილმოსურნედ, თბილისში ჩამოდის რუსი შოვინისტი დეპუტატების ჯგუფი ქართველი ერის დაუძინებელი მტრის ბაბურინის მეთაურობით და ჩვენ ისინი ლამის მშვიდობის მტრედებად წარმოგვიდგინეს. მე კი, მაგალითად, ბაბურინის გაღიმებული კმაყოფილი სახის დანახვისას განგაშის გრძნობა მეუფლება.

თუ ჩვენ ვერ მივხვდით, რომ ასეთი მსტოვრები ვერ გვიშველიან, ვერც გაეროში — მიღება გადაგვარჩენს და ვერც თურქეთის 50 მილიონიანი კრედიტი.

საქართველოს სჭირდება ძლიერი, დამოუკიდებელი პოლიტიკა, ასეთი პოლიტიკის სუბიექტებად მხოლოდ შინაგანად თავისუფალ ადამიანებს შეუძლიათ ყოფნა. მომავალი ჭეშმარიტად დამოუკიდებელი საქართველო სწორედ ასეთი ადამიანებით დასახლებულ ქვეყანად მესახება.

**მიხეილ სააკაშვილი**

1 წერილი იბეჭდება მნიშვნელოვანი შემოკლებით

# საარჩევნო ბლოკი „11 ოქტომბერი":

## სახალხო ფრონტი, „დას"-ი, რესპუბლიკური პარტია და ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი

საქართველოს რესპუბლიკური პარტია — ერთ-ერთი ყველაზე თანმიმდევრული და ორგანიზებული პოლიტიკური პარტიაა საქართველოში. მისი არსებობა სათავეებს იღებს 1978 წლის 14 აპრილის მასობრივი გამოსვლების შემდეგ. პირველი ჯგუფი შეიქმნა 1978 წლის 21 მაისს. თავდაპირველად მასში გაერთიანებული იყო 100-მდე წევრი, ძირითადად სტუდენტი ახალგაზრდობა. მოქმედებდნენ არალეგალურად. ჰქონდათ თვითგამოცემითი ჟურნალი „სამრეკლო", რომლის ორი ნომერი გამოვიდა 1979 წელს.

მისი არსებობით იმთავითვე დაინტერესდა სუკის ხელმძღვანელობა, რომელიც ოთხი წლის მანძილზე გამოწვლილვით სწავლობდა პარტიის საქმიანობას.

1983 წელს საქართველოში ორი ტენდენცია დაემთხვა ერთმანეთს: საბჭოთა იმპერიის იმდროინდელმა საჭეთმპყრობელმა ანდროპოვმა, ივნისის იდეოლოგიურ პლენუმზე მიიღო დადგენილება ანტისაბჭოთა საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, ხოლო ედუარდ შევარდნაძემ — გადაწყვეტილება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეულად აღსანიშნავად. ამ ორი „დიდმნიშვნელოვანი" ტენდენციის ტალღაზე რესპუბლიკური პარტიის ხუთი წევრი სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად დააპატიმრეს და მოათავსეს აწ უკვე ფერფლადქცეულ სუკის საპატიმროში. შემდგომში ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის ისინი სასჯელს იხდიდნენ მორდვეთისა და პერმის ციხეებში.

სხვადასხვა დროს რესპუბლიკური პარტიის წევრები იყვნენ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებასა და სახალხო ფრონტში.

1989 წლის გაზაფხულიდან პარალელურად აღდგა რესპუბლიკური პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურა.

1990 წლის 20 ოქტომბრის არჩევნების შემდგომ რესპუბლიკური პარტია სამი წევრით იყო წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტში, სადაც სახალხო ფრონტის დეპუტატებთან ერთად ქმნიდნენ ძლიერ საპარლამენტო ოპოზიციურ ფრაქცია „დემოკრატიულ ცენტრს". რესპუბლიკელთა რვა წარმომადგენელი არის აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატი. დღეს, სახელმწიფო საბჭოში პარტიას შვიდი წარმომადგენელი ჰყავს. საქართველოს რესპუბლიკური პარტიის თავკაცია ბატონი ვახტანგ ძაბირაძე.

გთავაზობთ ინტერვიუს ამ პარტიის უაქტიურეს წევრთან ბატონ დავით ბერძენიშვილთან, რომელიც კენჭს იყრის თბილისის № 1 საარჩევნო ოლქში.

### დავით ბერძენიშვილი:

# ჩვენ შევეცდებით, რომ საქართველოში შეიცვალოს ცნობიერება...



**—ბატონო დავით, არჩევნებამდე ძალიან მცირე დრო დარჩა. ასეთ დროს, ჩვეულებისამებრ, პოლიტიკოსები პროგნოზებს აკეთებენ ხოლმე.**

**როგორია თქვენი პროგნოზი 11 ოქტომბრის არჩევნებზე?**

— ამ ბოლო დროს, პრესითა და რადიოთი გავაკეთე სახუმარო პროგნოზი, რომელიც, სამწუხაროდ, არ არის შორს გამართლებისაგან. აშკარაა, რომ არჩევნებში უმრავლესობას ყოფილი კომუნისტები მიაღწევენ.

განსაკუთრებით არასასურველი იყო ჩვენთვის ის გადაწყვეტილება, რომელიც საარჩევნო კანონის ცვლილებასთან დაკავშირებით მიიღო სახელმწიფო საბჭომ. მიღებული საარჩევნო კანონი, რომელსაც ერქვა „პროპორციული საარჩევნო კანონი ერთადერთი გადასაცემი ხმით" გაუქმდა. დემოკრატიული პარტიების ინტერესები შეიზღუდა. ამ ცვლილებების დროს სახელმწიფო საბჭოში ჩვენ დამატებით მოგვთხოვეს 84 ადგილი რაიონებში ასარჩევ დეპუტატთათვის. როდესაც წინასწარ ეძლევათ უპირატესობა იმ ძალებს, რომლებიც რაიონული მასშტაბის ნომენკლატურას წარმოადგენენ, აშკარაა, რომ იქ ჩვენ წავაგებთ. ყველაზე დიდი ჩვენ მხოლოდ 25—30 პროცენტი ავიღოთ ამ 84 ადგილიდან. აქ მე არ ვგულისხმობ ჩვენს ბლოკს „11 ოქტომბერს", არამედ ყველა დემოკრატიულ ძალას.

რაც შეეხება დანარჩენ 150 ადგილს, აქ ოდნავ გაუმჯობესდა მდგომარეობა მას შემდეგ, რაც გუშინ სახელმწიფო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ბატონი ედუარდ შევარდნაძე არჩეულ იქნას უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ სრულიად საქართველოს მასშტაბით. ეს, რა თქმა უნდა , ნონსენსია. მაგრამ საერთოდ მთელი ჩვენი ბოლოდროინდელი პოლიტიკური ყოფა არის ნონსენსი, და ამდენად ეს, ალბათ, ახატანია.

მე ისიც მინდა ვთქვა, რომ ჩვენი ბლოკი არ ყოფილა ინიციატორი შევარდნაძისათვის სპეციალურად ამ პოსტის შეთავაზებისა. ინიციატორები სხვები იყვნენ, მათ შორის დემოკრატიული პარტიებიც. მე მეჩვენება, რომ ბლოკ „მშვიდობის" სათავეში შევარდნაძის ყოფნის შემთხვევაში, დაკარგული ხმების დიდი წილი მოვიდოდა სხვა პარტიებზე და არა „11 ოქტომბერზე". ჩვენ ჩვენი წილის მინიმუმს მაინც მივიღებდით. ასე რომ, ჩვენ არ ვიყავით დაინტერესებული და არ გვეშინოდა ამ, ერთი შეხედვით, „უთანასწორო" ბრძოლისა. მაგრამ როცა გვთხოვეს, რომ ასეთი რამ პოლიტიკური სპექტრისათვის საჭიროა, რათა მომავალ პარლამენტში ძალიან დიდი რაოდენობით არ ყოფილიყვნენ „პოლიტიკური „ჭაობის" წარმომადგენლები, ეს ანგარიშგასაწევ არგუმენტად ჩავთვალეთ.

სახელმწიფო საბჭოს ბოლო სხდომაზეც იყო ჩვენი მხრივ დიდი შეტევა დემოკრატიული კავშირის ხელმძღვანელებზე, რადგან ისინი სპეკულანტურად იყენებენ შევარდნაძის ავტორიტეტს. მიუხედავად ჩვენი დიდი მცდელობისა, შევარდნაძე ნაწილობრივ მაინც გაიგივებული რჩება „მშვიდობასთან" და ეს ბლოკი ხმების მნიშვნელოვან რაოდენობას მიიღებს.

ასე რომ, მომავალ არჩევნებში ყველაზე დიდი შანსი აქვთ (ღმერთმა ქნას, ვცდებოდე!), ყოფილ კომუნისტურ ნომენკლატურას და........ წითლებს, ე.წ. კომუნისტურ ინტელიგენციას (დავაზუსტებ, ინტელიგენციის კომუნისტურ ნაწილს).

უადგილოდ არ დარჩებიან ყოფილი „მრგვალები", უპირველეს ყოვლისა, ტრადიციონალისტები და მეორე მხრივ თანამედროვე, მზარდი პოლიტიკური, პარტიული ნომენკლატურა, რომელიც სახელმწიფო საბჭოს აპარატის სტრუქტურებშია წარმოდგენილი.

რაც შეეხება იმ ძალებს, რომელთაც უფრო დემოკრატიულად მივიჩნევ, უპირველესად, ჩვენს ბლოკს — „11 ოქტომბერი", ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას, „ქარტია— 91"-ს, და სხვა პარტნიორ ორგანიზაციებს. დარწმუნებული ვარ, რომ დემოკრატიული ძალები საქართველოს მომავალ პარლამენტში უფრო მეტი იქნება, ვიდრე წინა უზენაეს საბჭოში. მაგრამ იმაშიც თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ისინი, ვერ იქნებიან უმრავლესობაში.

თუმცა, ეს შესაძლოა ურიგო შედეგი არც იყოს დღევანდელი საქართველოს ფონზე...

**— ბატონო დავით, სამწუხაროდ, არჩევნების ხელისშემშლელი ფაქტორები, შინაგანი თუ გარეგანი, საკმარისზე მეტია. ომი აფხაზეთში, მთიელთა ინტერვენცია, გაურკვეველი მდგომარეობა შიდა ქართლში, შფოთი სამეგრელოში, არნახული მასშტაბების ქურდობა-ყაჩაღობა საქართველოში, ძალაუნებურად დაგაეჭვებს კაცს, რა არჩევნები ჩატარდება ასეთ არეულ ქვეყანაში, და იქნება თუ არა ამ არჩევნებით შექმნილი პარლამენტი სრულფასოვანი?**

—აპრიორულად შემიძლია იმის თქმა, რომ თუ არჩევნები ჩატარდება 11 ოქტომბერს, ის უფრო ლეგიტიმური იქნება, ვიდრე დღევანდელი სახელმწიფო საბჭოა. ასე რომ, ხელისშემშლელი ფაქტორების ხიუხვე ვერ უნდა იყოს ხელისშემშლელი არჩევნების ჩატარებისა. დღეს, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს. ჩვენი ბლოკის სახელით ვაფიქსირებთ იმას, რომ ძალიან გვილირს არჩევნების ჩატარება. სამეგრელოს ორ რაიონში — ჩხოროწყუსა და წალენჯიხაში— დამოუკიდებელი კანდიდატების წარდგენა შეჩერდა, აფხაზეთში სიტუაცია ჯერჯერობით გაურკვეველია. სხვა რეგიონებში არჩევნები ჩატარდება და მე ვთვლი, რომ მიუხედავად იმ ნაკლოვანებისა, რაც შეიძლება ახლდეს არჩევნების ჩატარებას და ის შეიძლება ვერ იყოს სრულიად საქართველოს მომცველი, არჩევნების ჩატარებას აქვს ფასი. გამოკლებულ რეგიონებში არჩევნები შეიძლება ჩატარდეს მოგვიანებით, საარჩევნო სისტემა იძლევა ამის შესაძლებლობას. ერთი სიტყვით, არჩევნებისათვის ყველა შემთხვევაში უნდა ვიყოთ მზად.

**— რამდენადაც ვიცი, რესპუბლიკურ პარტიას ყველასაგან განსხვავებული, შეიძლება ითქვას, არაკონიუნქტურული დამოკიდებულება აქვს აფხაზეთის საკითხისადმი.**

— რესპუბლიკური პარტია საქართველოს სინამდვილეში ყველაზე უფრო ახლოს არის აფხაზურ პრობლემასთან. ჩვენს პოზიციებთან ახლოს დგას დას-ისა და ქრისტიან-დემოკრატების ხელმძღვანელობა. მე მესმის, რომ ამ ინტერვიუს წამკითხველი ბევრი ჩემი მომხრეც შეიძლება შეეჭვდეს ჩემში და გაწყრეს, თუ დღევანდელ სიტუაციაში რამდენად სწორია იმის თქმა, რასაც ვიტყვი.

ჩემთვის ძალიან ფასეულია თეზისი, რომ საქართველო არის ქართველებისა და აფხაზების სამშობლო. ამას აქვს ისტორიული საფუძველიც, აქვს პოლიტიკური საფუძველიც და თუ გნებავთ თანამედროვე რეალობების მოთხოვნილებების საფუძველიც. ამიტომ ჩვენ უნდა მოვძებნოთ გზები, რომ დავიცვათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ჩვენ უნდა მოვძებნოთ გზები, რომ მოვიშოროთ ის მართლაც გადამთიელები, ვინც ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გარკვევაში იარაღით მონაწილეობს. და ამასთანავე, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველო ეს არის ქართველებისა და აფხაზების სამშობლო. მერე რა , რომ აფხაზები მოსახლეობის 17 პროცენტს შეადგენენ, ეს მათი უბედურებაა და არა დანაშაული.

ჩვენ არ უნდა შევქმნათ ერთურთისაგან მტრის ხატი.

**— ბატონო დავით, ჩვენი ინტერვიუს ფარგლებში შეუძლებელია პოლიტიკური ორგანიზაციის შეხედულებებისა და პრინციპების სრული რეალიზება. ამიტომ ტრადიციულ შეკითხვას დაგისვამთ: დღეს რომ 12 ოქტომბერი იყოს და თქვენ არჩევნებში გაგემარჯვათ, რას ეტყოდით ხალხს?**

— ჩემთვის ძალზე იოლია თქვენს შეკითხვაზე პასუხის გაცემის დაწყება, რადგან დღეს რომ 12 ოქტომბერი იყოს, ჩვენ არჩევნებში გამარჯვებული მაინც ვერ ვიქნებოდით. მაგრამ გამარჯვებას ვეძახი მე იმას, თუ დემოკრატიულ ძალთა წარმომადგენლობა პარლამენტში ორ-სამჯერ მეტი იქნება, ვიდრე ყოფილ უზენაეს საბჭოში.

აი ამ პოზიციებიდან გამომდინარე, თუ ჩვენ გვექნება, როგორც მძლავრ ოპოზიციას, წილი ხელისუფლებაში, მაშინ ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, შევეცდებით, რომ საქართველოში შეიცვალოს ის ცნობიერება, რომელიც აგებულია მტრის ხატზე.

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურმა ფრთამ, რომლის ერთ-ერთი ნაწილი ხელისუფლებაში მოვიდა, ბევრ სიკეთესთან ერთად მოიტანა ცნობიერების ბარბარიზაცია და მტრის ხატზე დაფუძნებული პოლიტიკის კეთება საქართველოში.

„კრემლის აგენტი", „სუკის აგენტი", ეს ტენდენცია გამსახურდიას არ დაუწყია, იგი ბევრად უფრო ადრე დაიწყო და მისი შემოქმედი გამსახურდიასთან ერთად სხვა რადიკალური პოლიტიკური ძალებიც იყვნენ. ეს რეციდივები დღემდე არსებობს. დღეს იგივე ეპითეტებით, შეიძლება უფრო რაფინირებული ფორმებით, უფრო განათლებული ხალხის მიერ, უფრო დაწყობილ წინადადებებით ამკობენ აწ უკვე ამ ხელისუფლების მოწინააღმდეგეებს: „გამსახურდიას მომხრეები", „ერის მოღალატეები" და სხვა.

**არ ვართ ჩვენ იმდენი, რომ ერი დავყოთ ზვიადისტებად და ანტიზვიადისტებად, შევარდნაძისტებად და ანტიშევარდნაძისტებად, პატრიოტებად და მოღალატეებად. ბუნებრივია, არიან მოწინააღმდეგეები. სასურველია, რომ ეს მოწინააღმდეგეები, როგორც ერთი ისე მეორე მხრიდან, რომლებსაც შეუძლიათ ერთმანეთთან ადამიანური ურთიერთობა, ეცადონ წინააღმდეგობრიობა შეცვალონ პარტნიორობით, ცივილიზებული თანამშრომლობით.**

რაც შეეხება იმ ე.წ. „ზვიადისტებს", რომელთაც საქართველოსთვის ამ უდიდესი გაჭირვების ჟამს ხელთ იარაღი აიღეს რევანშისტული ზრახვებით, მათ სახელმწიფო უფრო აქტიურად უნდა ებრძოლოს, როგორც სახელმწიფო დამნაშავეებს...

ესაუბრა
ჟოჟა ლიკლიკაძე

# ბლოკ «მშვიდობის» არასამშვიდობო წამოწყება

დღეს, როდესაც ასე გართულებულია საქართველოს საშინაო თუ საგარეო ვითარება, როცა ქართველი ერი საომარ მდგომარეობაშია, დიდი მნიშვნელობა აქვს წინასაარჩევნო ბატალიებში ცალკეული პარტიების და პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ გონივრული საარჩევნო პოლიტიკის გატარებას.

პირველ ყოვლისა, პარტიები უნდა მიხვდნენ, რომ ერთურთთან ურთიერთობის გართულებით, დაძაბულობის ხელოვნურად შექმნით ქვეყანა უფრო აირევა. ამიტომ, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა ამოვიდეთ არა ვიწროპარტიული, არამედ ზოგადეროვნული ინტერესებიდან.

ჩვენ გვესმის, რომ არჩევნებში მონაწილე პარტიებს დამარცხება არ სურთ, მაგრამ არც მოძმეთა ლანძღვის ხარჯზე მოტანილი წარმატება იქნება ნამდვილი გამარჯვება. რადგან, შესაძლოა, მმართველ ორგანოში კი მოვხვდეთ, მაგრამ ქვეყანა უკვე ისე არეული იქნება, რომ მართვას ველარავინ მოახერხებს.

ამ თვალსაზრისით ერთობ ცუდი კომპანია წამოიწყო საარჩევნო ბლოკმა „მშვიდობამ“.

ხსენებული ბლოკის პროპაგანდისტმა გაზეთმა პირველ სექტემბერს დასტამბა წერილი „ბრძოლა ედუარდისათვის... ანუ ბრძოლა ედუარდის წინააღმდეგ“, რომლის ავტორია ვინმე ვაჟა ბერიძე.

იმ ფაქტში, რომ გაზეთი ბლოკ „მშვიდობას“ უწევს პროპაგანდას გაუგებარი არაფერია. სამწუხარო ის არის, რომ ამას ავტორი აკეთებს სხვა საარჩევნო პარტიებისა და ბლოკების, მათ შორის ბლოკ „11 ოქტომბრის“ დისკრედიტაციის მცდელობის ხარჯზე.

„მშვიდობას“ წითლების, ყოფილი კომუნისტი ფუნქციონერების ბლოკს ეძახიან. ამის გამო, ამ ბლოკის ზოგიერთ წარმომადგენელს არაერთგზის გამოუთქვამს აღშფოთება.

ჩვენც ვთვლიდით, რომ ბლოკი „მშვიდობის“ ასეთი შეფასება არ არის მთლად მართებული და დღესაც ვთვლით, რომ მათ საარჩევნო სიაში ბევრი ღირსეული პიროვნებაა წარმოდგენილი. არადა ჩვენი გაოცება გამოიწვია ხსენებული წერილიდან შემდეგმა თვალსაზრისმა: „მართვა და პოლიტიკის კეთება ყოფილი კომუნისტების გარეშე შეუძლებელია“... „პოლიტიკასა და მართვის სფეროში ისეთივე უმწეონი ვართ ყოფილი კომპარტიის წევრების გარეშე, როგორც სხვაგან. თანაც, ხალხს გარკვეული ნოსტალგია გაუჩნდა იმ დროის მიმართ...“.

როგორც ვხედავთ, შავით თეთრზე გვიწერენ: ხალხს კომუნისტები ენატრებათ და იმ დროის მიმართაც გარკვეული ნოსტალგია გაუჩნდათ.

როცა ბლოკ „მშვიდობის“ ოპონენტები ამბობენ — ამ ბლოკს კომუნისტების რესტავრაცია სურსო,— ბლოკის წარმომადგენლებმა ლამისაა მთქმელის ჩასაქოლად ქვებს სტაცონ ხელი. არადა, რაც ზემოთ წაიკითხე, მკითხველო, განა სხვა დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა?

პირადად ჩვენ კი, ყოველივე ზემოთქმულის დაჯერება მაინც არ გვსურს. თუ ზემოთქმული აღნიშნული ბლოკის მიზანია, ან იქ წარმოდგენილი ღირსეული პიროვნებები უნდა გამოვიდნენ სიიდან, ან უნდა ვივარაუდოთ, რომ გაზეთი საკუთარი ბლოკის დისკრედიტაციას ეწევა.

მაინც რამ გაუჩინა ძველი დროისადმი ნოსტალგია ამ ხალხს? პასუხს მარტივად მოგახსენებთ.

ვ.ბერიძე წერს: „გახსოვდეთ, ბატონებო, ერთი მარტივი ჭეშმარიტება — ვინც ფლობს რეალურ პოლიტიკურ ძალას და სიმდიდრეს,ის მართავს ქვეყანას“, ანუ პარლამენტში ის ხალხი უნდა მოხვდეს, ვინც სიმდიდრესაც ფლობსო. იმ დროში, რომლის მიმართ ამ ჩვენს ბერიძეს ნოსტალგია გასჩენია, სიმდიდრეს ფლობდნენ კომუნისტი ფუნქციონერები (ცხადია, ყველას არ ვგულისხმობ) და მათი ხელის ბიჭები. ეს სიმდიდრე მათ დააგროვეს ხალხის ძარცვით, გლეჯით, ქართული მიწების გაყიდვით, უცხო ტომთა ჭუჭყიანი გარიგების ხარჯზე ჩამოსახლებით, მექრთამეობით, მტაცებლობით და ხვეჭით.

ახლა გვეუბნებიან — ვისაც სიმდიდრე აქვს, მან უნდა მართოს ქვეყანაო, ანუ ამ დროში ის მექრთამეები უნდა წამოიჯინოთ თავზეო.

არადა რა გეშველება შენ, პატიოსანო ქართველო კაცო, სინდისს რომ ვერ გადაახტი და დღემდე კეთილშობილების გარდა სხვა ქონება ვერ მოიხვეჭე?

* * *

ვთქვათ და, არ დავუჯეროთ ბლოკ „მშვიდობის“ პროპაგანდისტს და ვერ გაიმარჯვეს იმათ, ვინც ფლობს რეალურ სიმდიდრეს, რა დაგვემართება მაშინ? ვ.ბერიძე იქვე გვაფრთხილებს: „თუ საზოგადოებაში რეალური გავლენა და ხელისუფლების შემადგენლობა შესაბამისობაში არ არის, იწყება გადატრიალებანი, რევოლუციები, სისხლისღვრა, კატაკლიზმები. იწილო-ბიწილო, ბატონებო, არაფერს მოგიტანთ.“

როგორც ვხედავთ, ბლოკ „მშვიდობის“ პროპაგანდისტი პირდაპირ ომით გვემუქრება. ჩემს რეკომენდაციებს თუ არ გაითვალისწინებთ, გადატრიალებანი, რევოლუციები, სისხლისღვრა და კატაკლიზმები არ მოგაკლდებათო.

ასეთი გამოსვლის შემდეგ „მშვიდობამ“ ან „ჩხუბისთავების“ ბლოკი უნდა დაირქვას, ან ეს მართლა ჩხუბისთავი პროპაგანდისტი თავად უნდა ამხილოს, რათა მისგან შელანძღულ რეპუტაციას უშველოს რამე.

* * *

როგორც ზემოთ მოგახსენეთ წერილის ავტორი სხვა პარტიებისა დ მათი წარმომადგენელთა დისკრედიტაციას ცდილობს. საამისოდ კი მიმართავს დემაგოგიურ ანუ ჩვეულებრივ კომუნისტურ მეთოდს —ცილისწამებას.

იგი წერს: „ყოფილობას“ რაც შეეხება (იგ. კომპარტიის წევრობა), ედუარდიც ყოფილია, ირინა სარიშვილიც, ნოდარ ნათაძეც, ირაკლი წერეთელიც და თითქმის ყველა. ყველას სდები ჯიბეში სატანისთავიანი მანდატი. ხოლო ზოგიერთ მანდატიანს თანამდებობაც რგებია. ესაა „ვენების გადაჭრის“ მიზეზი?“

რა უნდა უპასუხოთ ახლა ამ სადაფისთავიან (იგულისხმება ოქროსთავიანი ანუ ჭკუისკოლოფა) ავტორს.

დავიწყოთ იმით, რომ აქ ჩამოთვლილ პირს იგი სახელით და გვარით მოიხსენიებს, ხოლო ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ბეჭზე ხელის წამოკვრითა და ბირჟაზე გასულ ძმაბიჭივით ელაპარაკება. სათაურში მხოლოდ სახელით მოიხსენია, აქაც მხოლოდ სახელზე შეჩერდა. ეტყობა იმ მიზნით, იქნებ მკითხველს ვაფიქრებინო, ედუარდ შევარდნაძე ჩვენი კაცია და იმ „გადამთიელი“ ნათაძე — სარიშვილებივით ოფიციალურად ხომ



კავკასიური (საარჩევნო) ცარცის წრე

...მოვიხსენიებდით.

არადა, მისი წერილი ...ომ ბატონ ედუარდს წა...თხა, არ არის გამო...ცხული, ამ ყოვლად ...ვიდ კაცს ასეთი ფამი...რობისათვის, ეს ჩვენი ...ტიკვნიტა ვაჟა ვაჟბა...ნი ხელში შემოკვდო...და.

ახლა, რაც შეეხება ...ხელითა და გვარით ...აპატიოსნებულ" სიის ...ნარჩენ წევრებს, რო...ლთა მიმართაც ვ.ბერი... წერს, თითქოს ისინი ...მუნისტები იყვნენ და ...ბეში სატანისთავიანი ...ნდატი ედოთ.

ამ სიტყვების წაკი...ხვის შემდეგ, ვერ ვი...ვით, რომ რომელიმე ...თგანი ვენებს გადაიჭ...ს. მაგრამ თუ იმას ...ვითვალისწინებთ, რომ ...ც ერთი არ არის ბა...ნი ედუარდივით მშვი..., ამათ კი ნამდვილად ...იძლება ხუმრობაგაშ...ებით ჩაჰკვდეთ ხელში ...ჩვენი ცილისმწამებელი ...ტორი.

* * *

ბატონი ვაჟა ბერიძე ...მარჯვებულივით წერს: ...ისიდენტების დრო, ...ლა მიხვდა, კარგა ...ნია წავიდა"-ო. მისი ...რით, ყოფილი კომუნი...ების დრო მოდის.

აქამდე გვეგონა, კო...ნისტების დრო რომ ...ვიდა, ამას იყო მიხვე...ილი ყველა.

...კაცმა რომ თქვას, ბე...ძეც უნდა მიმხვდარი... მაგრამ ეტყობა იგი ...მოში ზის, გრიშას

.გვერდით...

* * *

გულწრფელად ვწუხვართ, რომ ბლოკ „მშვიდობას" ასეთი სამსახური გაუწია მისმა პროპაგანდისტმა, ამ ბლოკის ...ღირსულ წევრებს ვ... სტურებთ ჩვენს პა... სცემას, მაგრამ „უმნიშვნელო" ს... რი მათაც გვინ... რათ.

სახელმწი... ერთ-ერთ ს... ციალური ... იმის შ... ძალვოდ... სა თუ ... შევარდნა... ხპეკულირ... რებით ბლ... ბას", რომლ... ნლობაში ე... არ არის.

[ჩაკეცილი ფურცლის ნაწყვეტები: ...მოი- ...ამსწრეთ ...თი ავტო- ...ადამიანთა ...ბლად. დამს- ...დამეთანხმნენ. ...შვილის მოძრა- ...ო როგორც ავა- ...ლეში სამხედრო ცე- ...ლაც არ შექმნილა ...„გონებათა დამშვიდე- ...ნით — როგორც ამას ...ვს ქარცივაძე. თვითონ ...თა პარტიების მიერ ...ლი ჩოლოყაშვილის ავა- ...ეწყვეტის შესახებ და- ...სულაც არ მოწმობს ...ი კომიტეტის მშვი- ...ჰიკას. ქვემოთ,. თავის ...ვაჩვენებთ, რომ]

გაზეთი, სადა... ბლოკის წევრთა სია ... იბეჭდა, გამოვიდა 1 სექტემბერს.

ბლოკ „მშვიდობასთან" ბატონ ედუარდ შევარდნაძის გამოსვლის საკითხი კი უფრო ადრე გადაწყდა.

არადა 1 სექტემბერს დაბეჭდილ სიაში ედუარდ შევარდნაძის გვარი და სახელი სიის თავში სწერია.

რა ჰქვია ამას ბატონებო?

ნუთუ თქვენ მეტი სერიოზულობა არ გმართებთ, ვიდრე, თქვენს პროპაგანდისტს ვინმე ვ.ბერიძეს?

გაზეთ
„საქართველოს"
რედაქცია



— წადით, ძმანო, თქვენ თქვენი გზით იარეთ!..

### ხომერიკი. პარიტეტულ კომიტეტთან „სამხედრო კომისიის" შექმნა

აჯანყების მომზადებისათვის პარიტეტული კომიტეტის მოღვაწეობის შემდეგი მნიშვნელოვანი მომენტი იყო 1922 წლის ნოემბერში საზღვარგარეთიდან საქართველოს ყოფილი მთავრობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ნოე ხომერიკის ჩამოსვლა.

იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც შეტანილი იქნა პარიტეტული კომიტეტის მუშაობაში, ასევე ხომერიკის როლის შესახებ საერთოდ საუბარი იქნება ქვემოთ. აქ კი ჩვენ შემოვიფარგ...ებით იმისი მოკლე განხილვით, თუ რა ფორმით წარიმართა სამხედრო ცენტრის მუშაობა ხომერიკის უშუალო გავლენითა და ხელმძღვანელობით.

უპირველეს ყოვლისა, მენშევიკებმა მოითხოვეს პარიტეტულ კომიტეტთან სპეციალური „სამხედრო კომისიის" შექმნა, რომელიც პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გაუწევდა სამხედრო ცენტრს. ეს წყება და გაუძლო ორი თვე, არის იმედი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მხრიდან დიპლომატიური ჩარევისა და ფულით დახმარებისა".

უფრო გარკვევით ამავე საკითხზე აზრი გამოთქვა პარიტეტულ კომიტეტთან არსებული რედკომისიისა და მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის წევრმა დავით ონიაშვილმა:

„საზღვარგარეთიდან ხომერიკის ჩამოსვლის შემდეგ მუშაობა შესამჩნევად გამოცოცხლდა. ცენტრალური კომიტეტის პირველსავე სხდომაზე ნოე ხომერიკმა გააკეთა მოხსენება, რომელშიც დაახასიათა როგორც საერთაშორისო ვითარება, ისე საბჭოთა რესპუბლიკებისა და საქართველოს მდგომარეობა. მან განაცხადა: საქართველოს საკითხი დგას დასავლეთ ევროპის დღის წესრიგში, საქართველო ირიცხება ერთა ლიგაში, ევროპის საზოგადოებრივი აზრი განწყობილია ჩვენს სასარგებლოდ, საქართველოში საჭიროა ორგანიზაციის შექმნა და მისი მომზადება, რათა საჭირო მომენტში შესაძლებელი გახდეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა და ამით ქართველი ხალხის არსებობის შესახებ

# ...ეტული კომიტეტის საქმე

განცხადების გაკეთება; ჩვენს გამოსვლაში დახმარებას აღმოგვიჩენს ევროპა. ამრიგად, საკითხი შეიარაღებული გამოსვლის შესახებ ჩვენს პარტიაში წამოტივტივდა საზღვარგარეთიდან საზღვარგარეთის ბიუროს დავალებით ნოე ხომერიკის ჩამოსვლასთან ერთად".

მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე სეით დევდარიანი იმავე ხომერიკის შესახებ თავის ჩვენებაში აღნიშნავს:

„მე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მას (ხომერიკს) საზღვარგარეთიდან ჰქონდა საგანგებო დირექტივები ყველაფრის თავის ხელში აღების შესახებ. ამაში მე დავრწმუნდი შემდეგში, როცა მან თავის ხელში აიღო სტამბა და ჩემი გვერდის ავლით უშვებდა სხვადასხვა სახის ფურცლებსა და გაზეთს „ჩვენი ერთობა".

ხომერიკმა ფაქტობრივად ხელში ჩაიგდო ცენტრალური კომიტეტის მთელი აპარატი, ბუნებრივია, არღვევდა კოლეგიალურ მუშაობას... საზღვარგარეთის ბიუროსთან მიმოწერას ხომერიკი აწარმოებდა ცენტრალური კომიტეტის ნებართვით. ამასთან ერთად, მის ხელში იყო პროვინციების ხელმძღვანელობა, საერთოდ ორგანიზაციული საკითხების მოგვარება. ხომერიკს ამაში მიცემული ჰქონდა სრული ავტონომია და ცენტრალურ კომიტეტს იგი მიმართავდა ხოლმე პრინციპული საკითხების გადასაწყვეტად".

ამრიგად, ამ სამი პიროვნების ჩვენებათა ერთობლიობით ჩვენ ვადგენთ, რომ ხომერიკი საქართველოში ჩამოვიდა საქართველოს ყოფილი მთავრობისა და აგრეთვე საზღვარგარეთის ინტერპარტიული ბიუროს დავალებით, რათა გაძლოლოდა ანტანტის მხრიდან ინტერვენციის ნიშნით შეიარაღებული გამოსვლის გადამწყვეტ სამზადისს.

სამხედრო ცენტრის ჩავარდნის შემდეგ აჯანყებისათვის მზადება მთლიანად გადადის უშუალოდ პარიტეტულ კომიტეტთან შექმნილი სამხედრო კომისიის ხელში ხომერიკისა და წინამძღვრიშვილის სახით. ამ უკანასკნელმა შეცვალა დაპატიმრებული მიხეილ ჯავახიშვილი.

ჩავარდნების შემდეგ რამდენადმე წელში გამართული პარიტეტული კომიტეტის თათბირს 1923 წლის ივლისში ისევ გამოაქვს დადგენილება შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების დაწყების შესახებ. ამ მომენტიდან მთელი ნახევარი წლის მანძილზე პარიტეტული კომიტეტის მუშაობა ხასიათდება ხომერიკის სრული დიქტატორობით. ხომერიკი პარიტეტულ კომიტეტში სამხედრო საქმიანობასთან ერთად ხდება მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ორგანიზაციული კომისიის თავმჯდომარე და ამრიგად, თავის თავში აერთიანებს პარტიის სამხედრო და ორგანიზაციულ მუშაობას.

„ხომერიკი ...თონ შეუდგა საქმეს — აჩვენებს ონიაშვილი. სწრაფად დამყარდა კავშირი მაზრებთან. გამოცოცხლდა მუშაობა თვით თბილისში. ცოტა მოგვიანებით ორგანიზაცია გაუკეთდა მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ სამხედრო კომისიას. იგი ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ იქნა გამოყოფილი".

ეს კომისია შედგებოდა ორი კაცისაგან (ვასო ნოდია და გოგიტა ფაღავა).

პერიფერიული ორგანიზაციების აღდგენის მიზნით ხომერიკმა შექმნა ე.წ. „სასოფლო კომისია", რომლის თავმჯდომარეობაც დაევალა კალენიკე ქავთარაძეს.

ამასთან ერთად, ეროვნულ-დემოკრატების ხაზით გაძლიერებულ სამხედრო საქმიანობას ეწევა წინამძღვრიშვილი, რომელიც მთავარ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდობას.

პარიტეტული კომიტეტის ინტენსიური სამხედრო მზადება შეწყვეტილ იქნა ხომერიკის დაპატიმრებით 1923 წლის 9 ნოემბერს.

ხომერიკს აღმოაჩნდა დოკუმენტები, რომლებმაც აჩვენეს: პირველი, სამხედრო მზადების დაძაბული ტემპები; მეორე, შეიარაღებული გამოსვლის საკითხის გადაწყვეტას პარიტეტული კომიტეტი გეგმავდა სულ ახლო მომავალში.

ასე მაგალითად, დაპატიმრების დღეს ხომერიკი საზღვარგარეთ ინტერპარტიულ ბიუროს წერდა:

„როგორც წინა წერილში გწერდი, საკითხი აჯანყების შესახებ დგას სერიოზულად... ვფიქრობ, რომ ერთ თვეში განხორციელდება... თუ საქმე ჩაიფუშა, მე თავიდან ვიხსნი ბრალს, ბრალეულნი იქნებით თქვენ"...

საზღვარგარეთიდან კი ხომერიკის მისამართით წერდნენ: „მთელი ჩვენი ყურადღება მიმართულია დღევანდელი მომენტისაკენ. რასაც ჩვენ ვფიქრობდით, და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, თითქმის მართლდება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ თვით რუსეთშიც მალე მოხდება. მობილიზაციის დროს, რომელიც მალე უნდა განხორციელდეს, თქვენ უნდა მიიღოთ ზომები, რათა ყველა გამოვიდეს იარაღით ხელში"...

თვითონ ხომერიკი კი 1923 წლის 8 ნოემბერს შემდეგ დირექტივას აძლევს „ამირანსა და ნოშრევანს": „თქვენ ამჟამად თქვენი საკუთარი ძალებით თავიდან ბოლომდე უნდა ჩამოაყალიბოთ სამხედრო ორგანიზაციები და მოახდინოთ იარაღისა და ხალხის აღრიცხვა... ეს, ცხადია, უნდა გაკეთდეს აუცილებელი სიფრთხილის დაცვით... მე მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ ფაქტიურად დარტყმის მომენტი უნდა დაემთხვეს რუსეთის სამხედრო მოქმედებებს ქვეყნის გარეთ... ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქონიოთ და აქედან გააკეთოთ შესაბამისი დასკვნები.

დასკვნა კი ასეთია: ქართველი ხალხი უნდა გათავისუფლდეს ოკუპაციისაგან... მხოლოდ მაშინ მიაქცევენ მას ყურადღებას. უკეთესი მომენტი არ შეიძლება იყოს... გამოსვლა ყველგან უნდა იყოს ელვისებური, ერთდროული... ყოველმა კუთხემ უნდა შეასრულოს თავისი ამოცანა. თუ ეს იქნება, ჩვენი ორგანიზაციები საბოლოოდ გათავისუფლდებიან... ორგანიზაციები უნდა იყვნენ მტკიცენი და დასახებისთანავე ფეხზე დადგნენ"...

(დასასრული იქნება)

# ბლოკ «მშვიდობ
# არასამშვიდობო
# წამოწყება

დღეს, როდესაც ასე გართულებულია საქართველოს საშინაო თუ საგარეო ვითარება, როცა ქართველი ერი სამძიმარ მდგომარეობაშია, დიდი მნიშვნელობა აქვს წინასაარჩევნო ბატალიებში ცალკეული პარტიების და პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ გონივრული საარჩევნო პოლიტიკის გატარებას.

პირველ ყოვლისა, პარტიები უნდა მიხვდნენ, რომ ერთურთთან ურთიერთობის გართულებით, დაძაბულობის ხელოვნურად შექმნით ქვეყანა უფრო აირევა. ამიტომ, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა ამოვიდეთ არა ვიწროპარტიული, არამედ ზოგადეროვნული ინტერესებიდან.

ჩვენ გვესმის, რომ არჩევნებში მონაწილე პარტიებს დამარცხება არ სურთ, მაგრამ არც მოძმეთა ლანძღვის ხარჯზე მოტანილი წარმატება იქნება ნამდვილი გამარჯვება. რადგან, შესაძლოა, მმართველ ორგანოში კი მოვხვდეთ, მაგრამ ქვეყანა უკვე ისე არეული იქნება, რომ მართვას ველარავინ მოახერხებს.

ამ თვალსაზრისით ერთობ ცუდი კომპანია წამოიწყო საარჩევნო ბლოკმა „მშვიდობამ“.

ხსენებული ბლოკის პროპაგანდისტმა გაზეთმა პირველ სექტემბერს დასტამბა წერილი „ბრძოლა ედუარდისათვის... ანუ ბრძოლა ედუარდის წინააღმდეგ“, რომლის ავტორია ვინმე ვაჟა ბერიძე.

იმ ფაქტში, რომ გაზეთი ბლოკ „მშვიდობას“ უწევს პროპაგანდას გაუგებარი არაფერია. სამწუხარო ის არის, რომ ამას ავტორი აკეთებს სხვა საარჩევნო პარტიებისა და ბლოკების, მათ შორის ბლოკ „11 ოქტომბრის“ დისკრედიტაციის მცდელობის ხარჯზე.

„მშვიდობას“ წითლების, ყოფილი კომუნისტი ფუნქციონერების ბლოკს ეძახიან. ამის გამო, ამ ბლოკის ზოგიერთ წარმომადგენელს არაერთგზის გამოუთქვამს აღშფოთება.

ჩვენც ვთვლიდით, რომ ბლოკი „მშვიდობის“ ასეთი შეფასება არ არის მთლად მართებული და დღესაც ვთვლით, რომ მათ საარჩევნო სიაში ბევრი ღირსეული პიროვნებაა წარმოდგენილი. არადა ჩვენი გაოცება გამოიწვია ხსენებული წერილიდან შემდეგმა თვალსაზრისმა: „მართვა და პოლიტიკის კეთება ყოფილი კომუნისტების გარეშე შეუძლებელია“... „პოლიტიკასა და მართვის სფეროში ისეთივე უმწეონი ვართ ყოფილი კომპარტიის წევრების გარეშე, როგორც სხვაგან. თანაც, ხალხს გარკვეული ნოსტალგია გაუჩნდა იმ დროის მიმართ...“.

როგორც ვხედავთ, შავით თეთრზე გვიწერენ: ხალხს კომუნისტები ენატრებათ და იმ დროის მიმართაც გარკვეული ნოსტალგია გაუჩნდათ.

როცა ბლოკ „მშვიდობის“ ოპონენტები ამბობენ — ამ ბლოკს კომუნისტების რესტავრაცია სურსო,— ბლოკის წარმომადგენლებმა ლამისაა მთქმელის ჩასაქოლად ქვებს სტაცონ ხელი. არადა, რაც ზემოთ წაიკითხე, მკითხველო, გ... ნა სხვა დასკვნის გამო... ნის საშუალებას იძლ...

პირადად ჩვენ კი, ... ველივე ზემოთქმ... დაჯერება მაინ... გვსურს. თუ ზ... ლი აღნიშნ... მიზან... გენიდ... როვნე... დნენ... ვივარ... თი... დისკ... მა... ძველი... ტალგ... სუხს... სენებ...

ვ.ბ... სოვდ... ერთი... რიტე... ფლო... ლიტ... სიმდ... ქვეყ... მენტ... მოხვ... რეხა... , რ... ჩვენს... გია... რეხ ს... სტო... (ცხად... ვგულ... ხელის... დიდრ... ხალხი... ჯით, გაყიდ... ჭუჭყი... რჯზე... მექრე... ლობი...

ახ... ვისაც... მან უნ... ნაო, ... მექრთ... იჯინე...

არ... შენ, ... ლო ქ... ვერ გ... დე... გარდა... მოიხვე...

ვთქ... ჯერეთ... ბის“ ... ვერ ... ვინც...



კავკასიური (საარჩევნო) ცარცის წრე

---

...ლოს წევრი, დუმსტურის საშ. სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

## N 4 საარჩევნო ოლქი (ქვემო ქართლი)

1. გოგია ზურაბ (სულიკო) სერგოს ძე, დაბ. 25.02.1946, ჟურნალისტი, ...ქართველოს ბუნების დაცვის სა...ოების რესპუბლიკური საზ...ოფილების უფროსი, სახა...ნტის წევრი.

...შვილი გურამ დავითის ძე ...933, მათემატიკოსი, სა...ბჭოს წევრი, მეცნიე...მიის კიბერნეტიკის ინ...ლირების განყოფი...პუბლიკური პარ...

...მამედ ოღლი, ...ოგი, ჟურ...ბჭოს წევ...მათა რედაქ...რტიო.

...ი ავთანდილ ...დ. 21.12.1941, ...პვილის სახ. თბი...

# ...“ საქართველოს ...ის არჩევნებში ...ის კანდიდატთა ...ი სიას:

...ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო სამართლებრივი სისტემების კათედრის გამგე, თბილისის უმაღლესი იურიდიული კოლეჯის რექტორი, უპარტიო.

5. სორდია გრიგოლ (გოგი) ველოდის ძე, დაბ. 18.01.1967, ინჟინერ-ეკონომისტი, დ.ჩხოროწყუს საკრებულოს წევრი, ჩხოროწყუს რ-ის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, სახალხო ფრონტის წევრი.

6. გაბიდაური ვაჟა გრიგორის ძე, დაბ. 25.05.1961, ინჟინერი, თეთრი წყაროს რ-ის სეტყვასთან მებრძოლი რაზმის ტექნიკოსი, რესპუბლიკური პარტიის წევრი.

7. ვაშაყმაძე თემურ ოთარის ძე, დაბ. 11.10.1962, კიბერნეტიკოსი, გამოთვლითი ცენტრის ინჟინერი, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წევრი.

8. გზირიშვილი თენგიზ გრიგოლის ძე, დაბ. 27.05.1959 ფიზიკოსი, რუსთავის ტერიტორიულ-სამეურნეობათაშორისო გაერთიანების უფროსი ინჟინერი, სახალხო ფრონტის წევრი.

9. მეფარიშვილი ბადრი ლევანის ძე, დაბ. 26.08.1950, ინჟინერ-ფსიქოლოგი, ქ.რუსთავის საკრებულოს წევრი, განათლების სამინისტროს წამყვანი სპეციალისტი, სახალხო ფრონტის წევრი.

10. ხმალაძე ლადო (ვლადიმერ) იოსების ძე, დაბ. 08.03.1953. არქიტექტორი, სამხატვრო აკადემიის პედაგოგი, უპარტიო.

## № 5 საარჩევნო ოლქი (შიდა ქართლი-სამცხე ჯავახეთი)

1. ნათაძე ნოდარ რევაზის ძე, დაბ. 27.05.1929, ფილოლოგი, მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის სექტორის გამგე, ცხინვალის რეგიონის პრობლემათა სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე, სახალხო ფრონტის თავმჯდომარე.

2. კოლუაშვილი პაატა პეტრეს ძე, დაბ. 05.09.1956, აგროეკონომისტი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო საბჭოს წევრი, სახალხო ფრონტის წევრი.

3. გრიგალაშვილი ნოდარ ოთარის

ძე, დაბ. 03.05.1958, მწერალი, მწერალთა ... გამგეობის წევრი, თსუ-ს მეცნიერ-მუშაკი, გ... „საქართველოს“ მთავარი რედ...ტორი, სახალხო ფრონტის წევრ...

4. მეშვილდიშვილი მარინე გი...გის ასული, დაბ. 03.05.1954, კულ... საგანმანათლებლო მუშაობის ო...განიზატორ-მეთოდისტი, პროფ... შირთა კონფედერაციის რეფერ...ტი, უპარტიო.

5. ახალბედაშვილი იოსებ ალე... ძე, დაბ. 16.10.1958, ეკონომის... გორის რ-ის გამგეობის თავმჯდო...რის მრჩეველი, სახალხო ფრონ... წევრი.,

6. შილაკაძე თამაზ ანდრიას ძე, ... 19.02.1932, ინჟინერი, საქ.გზამე...ერების გენერალური დირექტო... სახალხო ფრონტის წევრი.

7. ებანოიძე ნოდარ ლეონიდე... დაბ. 28.06.1958, ეკონომისტი, ხ...გაულის რაიონის გამგეობის თა...დომარე, სახალხო ფრონტის წევ...

8. დუდაური ტარიელ ელიზ... ძე, დაბ. 06.10.1957, ინჟინერი, ...ნომისტი, ფილოლოგი, ცხინვა... რეგიონის პრობლემათა სამთავრ... კომისიის წევრი, სახალხო ფრონ... წევრი.

9. ჯაფარიძე გიორგი უჩას ძე ... 10.10.1964, ექიმი, ადიგენის რა...ლიკლინიკის ექიმი, სახალხო ფ...ტის წევრი.

10. მამისთვალაშვილი ელდარ... ილის ძე, დაბ.27.07.1939, ისტორ...სი, გორის ეკონომიკის ინსტიტ... კათედრის გამგე, სახალხო ფრ... წევრი.

11. სიდამონიძე უშანგი იოს... დაბ. 08.11.1929, ისტორიკოს... ტორიის ინსტიტუტის განყოფი... გამგე, უპარტიო.

12. ყორანაშვილი მანანა რომ...ასული, დაბ. 10.11.1948, არქიტ...რი, ხიდისთავის № 15 საშ... ტექ.სასწავლებელი, სახალხო ფ...ტის წევრი.

13. ოქრუაშვილი რევაზ ნიკ...ზის ძე, დაბ. 07.12.1949, მენ... კავკასიის ბირჟა, საბროკერო ფ... „ექო-ბროკი“ პრეზიდენტი, სახ... ფრონტის წევრი.

14. რცხილაძე გურამ ირაკ... დაბ. 02.04.1930, ექიმი, თბილ... მედიცინო ინსტიტუტის კათ... გამგე, უპარტიო.

15. ბაშარული ზურაბ შალ... დაბ. 09.08.1952, ჟურნალისტ... „განახლებული მესხეთი“-ს, პა...ვანი, სახალხო ფრონტის წევრ...

16. ჩიტიშვილი ალექსანდრე ...ბის ძე, დაბ. 15.08.1946, მხატ... ცხინვალის პრობლემათა სამთ...ბო კომისიის წევრი, უპარტიო.

17. აბრამიშვილი რევაზ ნ... ძე, დაბ. 13.01.1941, მშენებელ...რის გაზის მეურნეობის საექ... წარმოო ტრესტის მმართ... სახალხო ფრონტის წევრი.

18. მათოშვილი გივი ივანეს ... 03.08.1951, პედაგოგი, ადიგენ...გეობის საორგანიზაციო განყო...ბის გამგე, სახალხო ფრონტის ...

19. მაჩხანელი ზურაბ გიო... დაბ. 23.04.1923, ისტორიკოს... რთველოს მწერთნელთა საბ... ვმჯდომარე სასტენდო სრ... უპარტიო.

20. ხუციშვილი სოლომონ... ძე, დაბ. 20.01.1908, ლიტერ... თსუ პროფესორი, უპარტიო.

21. ხმალაშვილი ვასილ ... დაბ. 28.12.1958, პედაგოგი, ...რაიონის სოფ. მელვრეკისის სა...ლა, უპარტიო.

# პარიტეტული კომიტეტის საქმე

## „სამხედრო ცენტრი"

მოვლენათა შემდგომი განვითარების კვალდაკვალ შეიარაღებული გამოსვლის იდეა გამოკვეთილ იერს იღებს ე.წ. „სამხედრო ცენტრის" სახით. ამ დროისათვის, ე.ი. 1922 წლის აგვისტო-სექტემბრისათვის, საქართველოს ტერიტორიაზე ფართოდ ვრცელდება ბანდიტიზმი, რომელშიც შედარებით გამორჩეული ადგილი უჭირავს ქაქუცა ჩოლოყაშვილს.

ეს უკანასკნელი ეროვნულ-დემოკრატების ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით გაძლიერებულად აწარმოებს ფაშისტურად განწყობილი ოფიცრობის გადაბირებას, აყალიბებს მათგან კადრებს აჯანყებისათვის.

საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიებში ყოველმხრივ ღვივდება იმედი ახლო ხანებში გადატრიალების შესაძლებლობის შესახებ. როცა ხევსურეთში ჩოლოყაშვილის გამოსვლა დაიწყო, პარიტეტული კომიტეტი დადგა დილემის წინაშე:

განევითარებინა ჩოლოყაშვილის ავანტიური „სრულიად ქართული აჯანყების" მასშტაბამდე, თუ შეეწყვიტა ყოველგვარი ბანდიტური მცდელობები საბჭოთა მთავრობის გადამჭრელი ღონისძიებებისა და მოსალოდნელი მარცხის გამო.

ასეთ ვითარებაში იქმნება სამხედრო ცენტრი. ფაქტიურად, მან მოქმედება დაიწყო გაცილებით ადრე, კერძოდ კი ფალავას მიერ მოწყობილი ზემოთ ნახსენები თათბირის მომენტიდან. რეალური საფუძველი სამხედრო ცენტრის არსებობისათვის მხოლოდ მას შემდეგ წარმოიშვა, რაც საბოლოოდ გაფორმდა პარიტეტული კომიტეტი, ხოლო ვითარება თვით საქართველოში უკვე ითხოვდა აჯანყებისათვის ერთიანი ხელმძღვანელობის შექმნას. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა 1922 წლის სექტემბრისათვის.

აქ აუცილებელია შევჩერდეთ და ავხსნათ სამხედრო ცენტრის შექმნის მოტივები.

ბრალდებულები ნიკოლოზ ქარცივაძე და იასონ ჯავახიშვილი მთელ საქმეს ისე წარმოადგენენ, რომ თითქოს სამხედრო ცენტრი თამაშობდა მხოლოდ სათათბიროს როლს და იგი შეიქმნა სპეციალურად „ხევსურეთის ამბების შეფასებისათვის".

„შეიქმნა საგანგებო სათათბირო ორგანო სპეციალისტებისაგან, ეგრეთ წოდებული „სამხედრო ცენტრი",... რომელსაც უნდა მიეცა შეფასება ხევსურეთის გამოსვლისათვის" — აღნიშნავს ჯავახიშვილი.

და შემდეგ:

„... სპეციალისტების სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, ჩაექროთ აჯანყება. ამ მიზნით ჩოლოყაშვილს გაეგზავნა სპეციალური მიწერილობა..."

ქარცივაძეც ამასვე აღნიშნავს თავის ჩვენებაში:

„1922 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში ხევსურეთის აჯანყებასა და ყველა წრეში, კერძოდ კი ახალგაზრდა ოფიცერთა წრეში, ამაღლებულ განწყობილებასთან დაკავშირებით ინტერპარტიული კომიტეტის დავალებით მე მოვიწვიე სამხედროების თათბირი. თათბირის მოწვევა მოხდა, მგონი, ნარიკელაძის მეშვეობით. თათბირზე მოწვეული იყვნენ და ესწრებოდნენ: მე, ვარდენ წულუკიძე, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, კოტე აფხაზი, იასონ ჯავახიშვილი, რომელიც მე არ მომიწვევია, ასევე ნარიკელაძე... მე განვაცხადე, რომ ხევსურეთში ხდება მნიშვნელოვანი მოვლენები, ხევსურეთი გარსშემორტყმულია ჯარებით, მიმდინარეობს ბრძოლები წითელ არმიასთან, ჩოლოყაშვილმა დატოვა ხევსურეთი და ცდილობს რაღაც გააკეთოს კახეთში, ყველა მაზრაში ამაღლებული განწყობილება. თბილისში, ახალგაზრდობასა და კერძოდ ოფიცრობას შორის შეიმჩნევა ძლიერი მღელვარება, საერთოდ, საქართველოში ისეთი მდგომარეობა იქმნება, რომლის დროსაც შესაძლებელია საყოველთაო აფეთქება. ვთქვი, რომ ამ აფეთქების შედეგად შეიძლება დაიღუპოს ქართველი ხალხი, რომ ყოველივე ეს ხდება ისეთი საერთაშორისო ვითარების პირობებში, რომ საზღვარგარეთ ჩვენს შესახებ ხმასაც არ ამოიღებენ. მე ვთხოვე დამსწრეთ გამოეყენებინათ თავიანთი ავტორიტეტი და გავლენა ადამიანთა გონების დასამშვიდებლად. დამსწრენი მთლიანად დამეთანხმნენ. გადაწყდა: ჩოლოყაშვილის მოძრაობა განხილულიყო როგორც ავანტიურა".

გაგრძელება.
იხ. „საქართველო" № 34

სინამდვილეში სამხედრო ცენტრი სულაც არ შექმნილა მხოლოდ „გონებათა დამშვიდების" მიზნით — როგორც ამას აღნიშნავს ქარცივაძე. თვითონ ანტისაბჭოთა პარტიების მიერ გამოწვეული ჩოლოყაშვილის ავანტიურის შეწყვეტის შესახებ დადგენილებაც სულაც არ მოწმობს პარიტეტული კომიტეტის მშვიდობიან ტაქტიკას. ქვემოთ, თავის ადგილზე, ჩვენ ვაჩვენებთ, რომ პარიტეტულმა კომიტეტმა ჩოლოყაშვილს ხევსურეთში მოქმედების შეწყვეტის თაობაზე განკარგულება მისცა არა იმიტომ, რომ პარიტეტული კომიტეტის ტაქტიკა იმ აჯანყების მომენტში სხვაგვარი იყო, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ პერსპექტივაში უკვე იგრძნობოდა დასაღუპავად განწირული ჩოლოყაშვილის ავანტიურის დასასრული.

ჩვენ შევჩერდებით სამხედრო ცენტრის ფაქტიურ მოღვაწეობაზე იმ მიზნით, რომ ზუსტად ავხსნათ მისი შექმნის მოტივები. ამავე მიზნით დავუბრუნდებით თათბირს, რომელიც ფალავამ მოაწყო სამხედრო სპეციალისტებთან ერთად (ე.ი. მაშინ ჯერ კიდევ არაოფიციალურ სამხედრო ცენტრთან) და სამხედრო ცენტრის წევრების ჩვენებების კვალდაკვალ თანმიმდევრულად გავადევნებთ თვალს მის მოღვაწეობას.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სამხედრო ცენტრის პირველ თათბირზე დაისახა ზოგიერთი ღონისძიება შეიარაღებული აჯანყების მომზადებასთან დაკავშირებით. მათი არსი მდგომარეობდა შემდეგში: ჯერ ერთი, განაწილდა ფუნქციები (ალექსანდრე ანდრონიკაშვილი — სამხედრო ცენტრის თავმჯდომარე, მუსხელიშვილი — აჯანყების შტაბის უფროსი, წულუკიძე — კავშირი პარიტეტულ კომიტეტთან); მეორე, გადაწყდა, როგორც ეს უკვე აღნიშნული იყო, დაკავშირებოდნენ ადგილებს და საქართველოს წითელი არმიის ნაწილებს.

მუსხელიშვილსა და ნარიკელაძეს ამავე დროს დაეკისრათ დაზვერვითი და კონტრდაზვერვითი ფუნქციების შესრულება.

პირველსავე სხდომაზე გამოირკვა, რომ პარტიები, გაერთიანებისაკენ მისწრაფების მიუხედავად, ერთმანეთს არ ენდობოდნენ, რის გამოც ჩქარობდნენ მათ განკარგულებაში მყოფი ძალების შესახებ მონაცემების გამჟღავნებას, ამ გარემოებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ მენშევიკებისა და ეროვნულ-დემოკრატების პარტიების სამხედრო ორგანიზაციები, სამხედრო ცენტრის შექმნის მიუხედავად, მუშაობას აგრძელებდნენ თავიანთი ცენტრალური კომიტეტების დირექტივების მიხედვით.

### ხომერიკი. პარიტეტულ კომიტეტთან „სამხედრო კომისიის" შექმნა

აჯანყების მომზადებისათვის პარიტეტული კომიტეტის მოღვაწეობის შემდეგი მნიშვნელოვანი მომენტი იყო 1922 წლის ნოემბერში საზღვარგარეთიდან საქართველოს ყოფილი მთავრობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ნოე ხომერიკის ჩამოსვლა.

იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც შეტანილი იქნა პარიტეტული კომიტეტის მუშაობაში, ასევე ხომერიკის როლის შესახებ საერთოდ საუბარი იქნება ქვემოთ. აქ კი ჩვენ შემოვიფარგლებით იმისი მოკლე განხილვით, თუ რა ფორმით წარიმართა სამხედრო ცენტრის მუშაობა ხომერიკის უშუალო გავლენითა და ხელმძღვანელობით.

უპირველეს ყოვლისა, მენშევიკებმა მოითხოვეს პარიტეტულ კომიტეტთან სპეციალური „სამხედრო კომისიის" შექმნა, რომელიც პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გაუწევდა სამხედრო ცენტრს. ეს კომისია შეიქმნა ხომერიკისა (მენშევიკებიდან) და მიხეილ ჯავახიშვილის (ეროვნულ-დემოკრატებიდან) შემადგენლობით. კომისიის ხელში გადავიდა აჯანყების მზადებისათვის მთელი მუშაობა. სამხედრო ცენტრი ამ პერიოდიდან მართლაც ხდება დამხმარე და სათათბირო ორგანო. ასე მაგალითად, ნარიკელაძემ ქარცივაძის მოთხოვნით შეიმუშავა და პარიტეტულ კომიტეტს წარუდგინა მოსაზრება ძალთა აღრიცხვის შესახებ, ამავე დროს იგი აწარმოებს გაძლიერებულ სადაზვერვო მუშაობას და ა.შ.

ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა 1922 წლის მარტის ბოლომდე, როცა მთელი სამხედრო ცენტრი დააპატიმრეს და შემდეგ დახვრიტეს.

უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის სამხედრო ცენტრის ლიკვიდაციის თანადროულად პარიტეტულმა კომიტეტმა განიცადა მთელი რიგი მეტად საგრძნობი ჩავარდნები. ასეთმა ვითარებამ კი, ბუნებრივია, დაამუხრუჭა შეიარაღებული გამოსვლისათვის მზადება.

ამ დროის მოვლენებიდან უნდა აღინიშნოს: პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარის ქარცივაძის, ეროვნულ-დემოკრატების ცენტრალური კომიტეტის წევრების დიდი ნაწილის, ახალგაზრდა მარქსისტთა არალეგალური ცენტრალური კომიტეტის, მენშევიკების თბილისის არალეგალური კომიტეტის მთელი შემადგენლობის დაპატიმრება, მენშევიკების რამდენიმე რაიონული კოლექტივის ლიკვიდაცია, ოთხი არალეგალური სტამბის ამოღება და სხვა...

შევჩერდეთ ხომერიკის პიროვნებაზე. ჩვენებაში თავის შესახებ იგი ამბობს:

„საბჭოთა რუსეთში მე ჩამოვედი არალეგალური მუშაობისათვის არსებული წყობილების წინააღმდეგ, იმ წყობილების წინააღმდეგ, რომელიც დამყარდა საქართველოში გარეშე ძალთა მეშვეობით".

იასონ ჯავახიშვილმა დაკითხვაზე ხომერიკის შესახებ აღნიშნა:

„ხომერიკმა ჩამოსვლისას, პარიტეტული კომიტეტის ერთ-ერთ უახლოეს სხდომაზე, გააკეთა მოხსენება, რომელშიც საუბარი იყო ყოფილი მთავრობისა და საზღვარგარეთის ბიუროს მოღვაწეობაზე. ამ მოღვაწეობის წყალობით საკითხი საქართველოს შესახებ პოპულარული გახდა. დასასრულს ხომერიკმა თქვა, რომ თუ საქართველომ შეძლო აჯანყების დაწყება და გაუძლო ორი თვე, არის იმედი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მხრიდან დიპლომატიური ჩარევისა და ფულით დახმარებისა".

უფრო გარკვევით ამავე საკითხზე აზრი გამოთქვა პარიტეტულ კომიტეტთან არსებული რედკომისიისა და მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის წევრმა დავით ონიაშვილმა:

„საზღვარგარეთიდან ხომერიკის ჩამოსვლის შემდეგ მუშაობა შესამჩნევად გამოცოცხლდა. ცენტრალური კომიტეტის პირველსავე სხდომაზე ნოე ხომერიკმა გააკეთა მოხსენება, რომელშიც დაახასიათა როგორც საერთაშორისო ვითარება, ისე საბჭოთა რესპუბლიკებისა და საქართველოს მდგომარეობა. მან განაცხადა: საქართველოს საკითხი დგას დასავლეთ ევროპის დღის წესრიგში, საქართველო ირიცხება ერთა ლიგაში, ევროპის საზოგადოებრივი აზრი განწყობილია ჩვენს სასარგებლოდ, საქართველოში საჭიროა ორგანიზაციის შექმნა და მისი მომზადება, რათა საჭირო მომენტში შესაძლებელი გახდეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა და ამით ქართველი ხალხის არსებობის შესახებ განცხადების გაკეთება; ჩვენს გამოსვლაში დახმარებას აღმოგვიჩენს ევროპა. ამრიგად, საკითხი შეიარაღებული გამოსვლის შესახებ ჩვენს პარტიაში წამოტივტივდა საზღვარგარეთიდან საზღვარგარეთის ბიუროს დავალებით ნოე ხომერიკის ჩამოსვლასთან ერთად".

მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე სეით დევდარიანი იმავე ხომერიკის შესახებ თავის ჩვენებაში აღნიშნავს:

„მე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მას (ხომერიკს) საზღვარგარეთიდან ჰქონდა საგანგებო დირექტივები ყველაფრის თავის ხელში აღების შესახებ. ამაში მე დავრწმუნდი შემდეგში, როცა მან თავის ხელში აიღო სტამბა და ჩემი გვერდის ავლით უშვებდა სხვადასხვა სახის ფურცლებსა და გაზეთს „ჩვენი ერთობა".

ხომერიკმა ფაქტობრივად ხელში ჩაიგდო ცენტრალური კომიტეტის მთელი აპარატი, ბუნებრივია, არღვევდა კოლეგიალურ მუშაობას... საზღვარგარეთის ბიუროსთან მიმოწერას ხომერიკი აწარმოებდა ცენტრალური კომიტეტის ნებართვით. ამასთან ერთად, მის ხელში იყო პროვინციების ხელმძღვანელობა, საერთოდ ორგანიზაციული საკითხების მოგვარება. ხომერიკს ამაში მიცემული ჰქონდა სრული ავტონომია და ცენტრალურ კომიტეტს იგი მიმართავდა ხოლმე პრინციპული საკითხების გადასაწყვეტად".

ამრიგად, ამ სამი პიროვნების ჩვენებათა ერთობლიობით ჩვენ ვადგენთ, რომ ხომერიკი საქართველოში ჩამოვიდა საქართველოს ყოფილი მთავრობისა და აგრეთვე საზღვარგარეთის ინტერპარტიული ბიუროს დავალებით, რათა გაძლოლოდა ანტანტის მხრიდან ინტერვენციის ნიშნით შეიარაღებული გამოსვლის გადამწყვეტ სამზადისს.

სამხედრო ცენტრის ჩავარდნის შემდეგ აჯანყებისათვის მზადება მთლიანად გადადის უშუალოდ პარიტეტულ კომიტეტთან შექმნილი სამხედრო კომისიის ხელში ხომერიკისა და წინამძღვრიშვილის სახით. ამ უკანასკნელმა შეცვალა დაპატიმრებული მიხეილ ჯავახიშვილი.

ჩავარდნების შემდეგ რამდენადმე წელში გამართული პარიტეტული კომიტეტის თათბირს 1923 წლის ივლისში ისევ გამოაქვს დადგენილება შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების დაწყების შესახებ. ამ მომენტიდან თითქმის ნახევარი წლის მანძილზე პარიტეტული კომიტეტის მუშაობა ხასიათდება ხომერიკის სრული დიქტატორობით. ხომერიკი პარიტეტულ კომიტეტში სამხედრო საქმიანობასთან ერთად ხდება მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ორგანიზაციული კომისიის თავმჯდომარე და ამრიგად, თავის თავში აერთიანებს პარტიის სამხედრო და ორგანიზაციულ მუშაობას.

„ხომერიკი ...თონ შეუდგა საქმეს — აჩვენებს ონიაშვილი. სწრაფად დამყარდა კავშირი მაზრებთან. გამოცოცხლდა მუშაობა თვით თბილისში. ცოტა მოგვიანებით ორგანიზაცია გაუკეთდა მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ სამხედრო კომისიას. იგი ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ იქნა გამოყოფილი".

ეს კომისია შედგებოდა ორი კაცისაგან (ვახო ნოდია და გოგიტა ფაღავა).

პერიფერიული ორგანიზაციების აღდგენის მიზნით ხომერიკმა შექმნა ე.წ. „სახოფლო კომისია", რომლის თავმჯდომარეობაც დაევალა კალენიკე ქავთარაძეს.

ამასთან ერთად, ეროვნულ-დემოკრატების ხაზით გაძლიერებულ სამხედრო საქმიანობას ეწევა წინამძღვრიშვილი, რომელიც მთავარ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდობას.

პარიტეტული კომიტეტის ინტენსიური სამხედრო მზადება შეწყვეტილ იქნა ხომერიკის დაპატიმრებით 1923 წლის 9 ნოემბერს.

ხომერიკს აღმოაჩნდა დოკუმენტები, რომლებმაც აჩვენეს: პირველი, სამხედრო მზადების დაძაბული ტემპები; მეორე, შეიარაღებული გამოსვლის საკითხის გადაწყვეტას პარიტეტული კომიტეტი გეგმავდა ხულ ახლო მომავალში.

ასე მაგალითად, დაპატიმრების დღეს ხომერიკი საზღვარგარეთ ინტერპარტიულ ბიუროს წერდა:

„როგორც წინა წერილში გწერდი, საკითხი აჯანყების შესახებ დგას ხერიოზულად... ვფიქრობ, რომ ერთ თვეში განხორციელდება... თუ საქმე ჩაიფუშა, მე თავიდან ვიხსნი ბრალს, ბრალეულნი იქნებით თქვენ"...

საზღვარგარეთიდან კი ხომერიკის მისამართით წერდნენ: „მთელი ჩვენი ყურადღება მიმართულია დღევანდელი მომენტისაკენ. რასაც ჩვენ ვფიქრობდით, და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, თითქმის მართლდება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ თვით რუსეთშიც მალე მოხდება. მობილიზაციის დროს, რომელიც მალე უნდა განხორციელდეს, თქვენ უნდა მიიღოთ ზომები, რათა ყველა გამოვიდეს იარაღით ხელში"...

თვითონ ხომერიკი კი 1923 წლის 8 ნოემბერს შემდეგ დირექტივას აძლევს „ამირანსა და ნოშრევანს": „თქვენ ამჟამად თქვენი საკუთარი ძალებით თავიდან ბოლომდე უნდა ჩამოაყალიბოთ სამხედრო ორგანიზაციები და მოახდინოთ იარაღისა და ხალხის აღრიცხვა... ეს, ცხადია, უნდა გაკეთდეს აუცილებელი სიფრთხილის დაცვით... მე მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ ფაქტიურად დარტყმის მომენტი უნდა დაემთხვეს რუსეთის სამხედრო მოქმედებებს ქვეყნის გარეთ... ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქონიოთ და აქედან გააკეთოთ შესაბამისი დასკვნები.

დასკვნა კი ასეთია: ქართველი ხალხი უნდა გათავისუფლდეს ოკუპაციისაგან... მხოლოდ მაშინ მიაქცევენ მას ყურადღებას. უკეთესი მომენტი არ შეიძლება იყოს... გამოსვლა ყველგან უნდა იყოს ელვისებური, ერთდროული... ყოველმა კუთხემ უნდა შეასრულოს თავისი ამოცანა. თუ ეს იქნება, ჩვენი ორგანიზაციები საფუძვლიანად გათავისუფლდებიან... ორგანიზაციები უნდა იყვნენ მტკიცენი და დასახლებისთანავე ფეხზე დადგნენ"...

(დასასრული იქნება)

# მოსკოვის დღევანდელი მოლაპარაკების გამო

**ნოდარ ნათაძე**

ჯერ არ ვიცით, როგორ მიდის მოლაპარაკება შევარდნაძესა და ელცინს შორის, ვიცით მხოლოდ იმ პრობლემების მდგომარეობა, რომელთაც იგი ეხება. სახელდობრ:

I. სოხუმში რუსის დაბრუნებისათვის და იმ მახინჯი ანტიქართული ეთნოკრატიის დაბრუნებისათვის, რომელსაც ჩვეულნი ვართ, არსებობს ერთადერთი გზა. ესაა რუსის მოწვევა გამზავებლის, „მშვიდობის მყოფლის“ როლში, ანუ ე.წ. ცხინვალის ვარიანტის განმეორება. მაშასადამე, ეს ვარიანტი დაუშვებელია და, ცხადია, საქართველო მას არ **მიიღებს**. საბედნიერო, რამდენადაც შემიძლია ვიმსჯელო, მოლაპარაკების ქართული მხარე ამ ვარიანტს გამორიცხულად თვლის.

არც ამ ვარიანტის შერბილებული ნაირსახეობაც — ამიერკავკასიაში მყოფი რუსის ნაწილების დროებითი მიწვევა რკინიგზის დასაცავად. ეს ვარიანტიც მიუღებელია როგორც **პრინციპულად** (ვინაიდან ეს ნიშნავს სადღეისოდ ჩვენი №1 მოწინააღმდეგისათვის ჩვენს ტერიტორიაზე პოზიტიური ფუნქციების მინიჭებას; რაც მის მიერ ჩვენი ოკუპაციის ერთგვარ რეაბილიტაციას უდრის), ისე **პრაქტიკულად** (ვინაიდან მისი ყოფნა აფხაზეთში მუდამ იქნება მიმართული ამ რეგიონში საქართველოს რეალური ძალის შესუსტებისაკენ და ჩვენი ყველა მტრის რეალური ძალის გაზრდისაკენ).

II. აფხაზეთიდან საქართველოს შეიარაღებული ძალის (გვარდიის) გამოყვანის მოთხოვნა უდრის საქართველოსაგან აფხაზეთის როგორც უფლებრივი ისე ფაქტობრივი მოცილების მოთხოვნას.

III. დიდი მსხვერპლი, რომელიც ქართულ შეიარაღებულ ძალებს აქვთ დღევანდელ ომში აფხაზეთის ორსავე ფრონტზე (სოხუმის ზონა და გაგრის ზონა), მნიშვნელოვანწილად განპირობებულია რუსეთის და „ესენგეს“ ჯარების მიერ ჩვენი მოწინააღმდეგის დახმარებით. **ჯერ ერთი,** ჩვენი მოწინააღმდეგე ეფარება რუსის ნაწილებს, რაც მას საშუალებას აძლევს, დაუსჯელად აწარმოოს ცეცხლი ქართველების წინააღმდეგ. **მეორეც,** რუსის ნაწილებმა აუკრძალეს ქართველებს შვეულმფრენების ხმარება (ეს აკრძალვა ახლაც ძალაშია) და სოხუმის ზონიდან გაგრის ზონისკენ მიმავალ სატრანსპორტო შვეულმფრენებს გუდაუთაში დაჯდომას აიძულებენ გაჩხრეკვის მიზნით. **მესამეც,** რუსებმა (რამდენადაც შემიძლია ვიმსჯელო) რამდენჯერმე თვითონ გაუხსნეს ცეცხლი ქართველებს ზღვიდანაც და ხმელეთიდანაც, რამაც, ერთის მხრივ, პირდაპირ მოიტანა მსხვერპლი, მეორე მხრივ კი არაპირდაპირ გაადიდა ჩვენი დანაკარგი, ვინაიდან ჩვენი შეტევა სწორედ მაშინ და სწორედ იქ შეაფერხა, სადაც ეს ჩვენთვის ყველაზე უფრო მტკივნეული იყო. ეს უმძიმესი ბრალდება გახლავთ, რა თქმა უნდა, და მე მას ოფიციალურად ვერ გამოვთქვამ, ისევე როგორც ვერ გამოთქვამს სხვაც (საქართველოს ხელისუფლების ჩათვლით), მაგრამ ჩემი დებულების დასამტკიცებლად შემიძლია ორი გარემოება დავიმოწმო. **პირველი:** უშუალო მონაწილეები — ქართველი ოფიცრები და ჯარისკაცები — კონკრეტულად მოგვითხრობენ სათანადო ეპიზოდებს (ანუ იძლევიან ჩვენებას), რაც დაფიქსირებულია ვიდეოკამერებით ქართველი ჟურნალისტების მიერ. **მეორე:** 1 სექტემბერს თბილისიდან ჩასულმა რუსმა ოფიცრებმა გენერალ-ლეიტენანტ მურავლოვის ხელმძღვანელობით (ისინი ერთობლივი ქართულ-რუსული კომისიის წევრები არიან) არ მოისურვეს შემთხვევის ადგილზე, ანუ ბრძოლის ველზე (სოფ. ეშერასთან) მისვლა, რათა ადგილზე ჩატარებულიყო მოკვლევა და, შეძლებისდაგვარად, ჭეშმარიტების დადგენა. მე პირადად მოწმე გახლავათ იმისა, რომ ა) გენერალმა იქ წასვლაზე უარი თქვა, ბ) გენერალი სოხუმში ჩამოფრენისთანავე მოითხოვდა იქ მისვლას და გ)გენერლის მისვლის მოთხოვნასა და იქ მისვლაზე უარის თქმას შორის იგი რამდენჯერმე ელაპარაკა ტელეფონით თავის კოლეგებს იმავე რეგიონში (სხვადასხვა რუს ოფიცრებს). ეს უფლებას მაძლევს ვივარაუდო, რომ ამ სატელეფონო საუბრებიდან მან შეიტყო, რომ შემთხვევის ადგილის მოკვლევით შესაძლოა ბრძოლაში რუსების მონაწილეობის ნივთმტკიც-
ბები გამოვლინდეს).

IV. რუსეთის შეიარაღ-
ბულ ძალთა ზოგი ქვეგან-
ყოფი მაინც (თუ ყველა არა)
რომელიც კონფლიქტის ზონა-
ში დგას, მზადაა დარტყმ
მიაყენოს საქართველოს შე-
არაღებულ ძალებს (და, შე-
საძლოა მოსახლეობასაც,
შემთხვევაში, თუ მას განლა-
გების ტერიტორიაზე ჭურვ
ან ტყვია მოხდვა. ზოგი მე-
თაურის შეგნებამდე მაინც
(თუ ყველას შეგნებამდე არა
ვერ მიდის ის გარემოება, რომ
ამგვარი დარტყმა ნიშნავ
რუსეთის მიერ საქართველო
წინააღმდეგ ომის დაწყება
რისი გადაწყვეტის პრეროგა
ტივაც მხოლოდ რუსეთი
მთავრობას ეკუთვნის. (მე პი-
რადად მოწმე გახლავართ
რომ თქმული ეხება სოხუმშ
განლაგებული რუსული ბატა
ლიონის მეთაურს). დასკვნ
ნათელია: **კონფლიქტი
ზონიდან რუსული ნაწი-
ლების დაუყოვნებლივ
გაყვანა როგორც ამ ზო-
ნაში საქართველოს სა
ხელმწიფოებრივი ინტე
რესების დაცვის, ისე ამ
ზონის უსაფრთხოები
უცილობელი პირობაა.**

V. აპარტეიდული კანო-
ნის საფუძველზე არჩეულ
აფხაზეთის უზენაესი საბ
ჭოს უფლებამოსილების ს
სწრაფოდ დამთავრება ახა
ლი არჩევნების დანიშვნი
გზით, უთუოდ, ვითარები
ნორმალიზაციის აუცილ
ბელ პირობად უნდა ჩაით
ვალოს.

# შერეკილი...

ამ რამდენიმე წლის წინ ვნახე პირველად. გამომცემლობა „მერანის“ თანამშრომლებთან შემოვიდა და გამარჯობა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ დაუყოვნებლივ კატასტროფულად უნიჭო ლექსის კითხვა დაიწყო. შევატყე ჰკუასუსტი იყო.

შეუხედავსა და ჩაგორგოლავებულს ჭკუაც არეული ჰქონდა , სიბრალულით ავივსე.

მას შემდეგ სად არ მინახავს, გააჩერებდნენ ქუჩაში ცნობისმოყვარე ნაცნობები და ამ შერეკილი ქალის ცერცეტობით ირთობდნენ თავს.

* * *

მერმე მიტინგების ეპოქა დაიწყო.

საჯაროდ გამოსვლას გაბედულება სჭირდება.

ამ შერეკილ ქალს დიდი გაბედულება აღმოაჩნდა. გამოვიდოდა ათასების წინაშე და იწვოდა ხალხი მისი საცოდაობით...

ნათქვამია, თითო სოფელს თითო გიჟი უნდა ჰყავდესო. თითო მიტინგსაც „უხდებოდა“ თითო აბდალი და ამ სულელი ქალის დანახვაც არავის აღიზიანებდა, პირიქით, მატრაბაზობა ერთგვარად ართობდა ხალხს...

მაგრამ...

ის გიჟი, წრეში რომ ჩაიყენებდნენ, ხან აცეკვებდნენ, ხან ამღერებდნენ, ხოლო როცა მოსწყინდებოდათ, ძუკნა ძაღლივით წრიდან გააგდებდნენ ხოლმე. ერთ დღეს, არც მეტი, არც ნაკლები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმდროინდელი აღიარებული ლიდერის ამალაში ვიხილე. საქმეში ალბათ გიჟებიც არიან საჭირონი-მეთქი, ვიფიქრე და თვალი მის ამალაში ყოფნასაც შეეჩვია...

* * *

გავიდა დრო, ამალის მეთაური საქართველოს სახელმწიფოს მეთაური გახდა. იმ შერეკილ ქალს კი ახლა უკვე მთავრობის წევრთა შორის შინაურულად მოფუსფუსეს ნახავდით. თანდათან ტელეეკრანებზეც კი იწყო გამოჩენა და ერის დამოძღვრა...

პირველად გაოცებისა და აღშფოთების გრძნობა დამეუფლა, მაგრამ მისი მსგავსი იმდენი დედაკაცი მოგროვდა საქართველოს პრეზიდენტის გარშემო, რომ მისი იქ ყოფნაც უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა.

* * *

გასული წლის სექტემბრის მოვლენების შემდეგ, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ, ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებთან მოვიდა და მჯდომარე აქციას შემოუერთდა. იმჟამად პრეზიდენტის ბანაკიდან ისე პერმანენტულად გადმოდიოდა პრეზიდენტის ერთგული ხალხი ოპოზიციის მხარეს, რომ ზ. გამსახურდიას ერთგული შერეკილის აქეთ წამოსვლაც არ გამკვირვებია, მაგრამ კითხვით მაინც ვკითხე, აქეთ რამ მოგიყვანა-მეთქი.

ვფიცავ ღვთის წინაშე, სიმართლეს ვამბობ, მოაღო ამ დედაკაცმა პირი და ისეთი უშვერი სიტყვებით, ისეთი მძულვარებით ლანძღა პრეზიდენტი, ვერც ერთი დამთხვეული დედაკაცი ვერ მოახერხებს.

* * *

ზუსტად მეორე დღეს მთავრობის სახლის წინ ჩავიარე და ქუჩის კუთხეში მიმჯდარი ვნახე ეს უცნაური ადამიანი. დახლი გაეშალა და ჰყიდდა გაზეთს „საქართველოს ცის ქვეშ“, რომლის პირველ გვერდზე გამსახურდიას უზარმაზარი პორტრეტი მოსჩანდა.

გადავფურცლე, მთელი გაზეთი პრეზიდენტყოფილის აპოლოგიას ეთმობოდა.

ჩემი დანახვა „რედაქტორ“ — გამყიდველს არ ემცხეთა...

როგორც ჰირიანს, ისე გავეცალე და ჩემი გზით წავედი.

* * *

მცირე ხნის შემდეგ ის ცნობილი მოვლენები მოხდა და პრეზიდენტყოფილი თავისი გზით „წავიდა“. ის შერეკილი დედაკაციც თან წაიყვანა.

* * *

ის ყოვლად უცნობი, ბოდვითი გაზეთი, — „საქართველოს ცის ქვეშ“, რომელსაც, დასტურ ვამბობ, გიჟი რედაქტორობდა, ახლა გროზნოში გამოდის და საყოველთაოდ ცნობილი გახდა. ცნობილი იმით , რომ მისი რედაქტორი ახლა ქართველების გასანადგურებლად მოუწოდებს აფხაზთ.

ასეთი დედაკაცია პრეზიდენტყოფილის ამალაში. მისი გვარი და სახელია მზია შერვაშიძე.

მე და მის სხვა მცნობთ რომ გიჟი გვეგონა, თავმოგიჟიანებული, საქართველოს მტერი ყოფილა.

ვის ხელში ვყოფილვართ, ამის წარმოდგენა ახლა მზარავს, იმ დროში მხოლოდ შეცოდების გრძნობა მქონდა...

ღმერთო, გვიხსენ გიჟი ქალებისა და მათი კუმირებისაგან...

ნოდარ თორელი


## ქართული ლიტერატურის მასწავლებლებისა და XI კლასის მოსწავლეთა საყურადღებოდ

სერიით „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები“ გამოსულია ნოდარ გრიგალაშვილის წიგნი **„ნიკო ლორთქიფანიძე“**.

წიგნში პირველწყაროებზე დაყრდნობით წარმოდგენილია ნიკო ლორთქიფანიძის ვრცელი ბიოგრაფია. ავტორი ორიგინალურად განიხილავს მწერლის ორ საპროგრამო ნაწარმოებს „თავსაფრიანი დედაკაცი“ და „ტრაგედია უგმიროთ“.

წიგნის ღირებულებაა 20 მან.

**ჩვენი მისამართია:** თავისუფლების მოედანი. პუშკინის ქ.5; ტ. 93—18—41


†



აფხაზეთში, გაგრასთან და
ღუპა ეროვნული გვარდიის მებრ
ძოლი, ერის ღირსების დამცველ
ასოციაციის წევრი 1989 წლიდ

გადრი აბრამის
ძე ბაბაური,

დაბადებული, 1965 წელ
დაობლდნენ მისი 4 წლის ელი
და 7 თვის სალომე. სამშობლოს
თვის დაცემულ ჯარისკაცს სამარ
დისოდ შეინახავს ხალხის ხსოვ

განუსვენე უფალო და მე
ეუავ მის სულს.


ინდექსი 66447

ფასი 5 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5 ტელ: რედაქტორი: 93-20-36, მოადგილის 93-18-41.

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი